წელიწადი—მეთერთმეტე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის (ბ)
ცენტრ. კომიტეტის
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ
№ 16, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
დღის 11 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 11 საათამდე.
ტელეფ. რედაქტორის . . 14 76
რედაქტორის მოადგ 23—17
მდივნის . . . . 10—58
მასიური განყოფილ. 22—44

მთავარი კანტორა თბილისი, რუსთაველის პრ., № 34
ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
1 თვით 1 მანეთი
1 წლით—12 მან
უცხოეთში
1 თვით—3 მანეთი

გაზეთის მიუღებლობის შემთხვევაში დარეკეთ ტელ. № 17—55

განცხადების ფასი
საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონის ტექსტის ბოლოში—1 მ. 50 კ., ტექსტის შიგნით—3 მ.; სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა—25—35 მ. განცხადებები მიიღება თბილისში მხოლოდ „კომუნისტი“-ს მთ. კანტორაში (რუსთაველის პრ. № 34), პროვინციაში—ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებში (საგაზეთო ბიუროებში). „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43.

დღიური

- ბერლინში წარმატებით დამთავრდა [illegible] საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება.
- ესპანეთში გამოცხადდა რესპუბლიკანური წყობილება.
- ამერიკაში 8 ზანგს მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა.
- იაპონიაში შესდგა ახალი მთავრობა.
- შეტაკება ჰამბურგის მუშებსა და პოლიციის შორის.

ხუთშაბათი, 16 აპრილი 1931 წ. ყოველდღიური გაზეთი № 88 (3043) ფასი 5 კაპ.

მძლავრი გამოძახილი

მოწინავე პროლეტარული რაზმის—ტულის მუშების მიმართვამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა საბჭოთა კავშირის მრავალ მილიონიან მუშათა მასებში, ეს მიმართვა ცხოველ ინტერესს იწვევს ყოველ ფაბრიკა-ქარხანაში, საამქროში, თვითეულ შეგნებულ პროლეტარში.

რას მოითხოვენ ტულის მუშები? უკეთ დარაზმვას, მთელი ენერგიის დაძაბვას და მუშაობის უფრო მაღალ ტემპებს ხუთწლედის მესამე წლის წარმატებით განხორციელებისათვის. ტულის მუშები საჭიროდ სცნობენ სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის ზრდას, ყოველგვარ ჩამორჩენათა დაუყოვნებლივ ლიკვიდაციას და ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის უდიდესი გეგმის გადაჭარბებით შესრულებას.

საქართველოს და კერძოდ თბილისის ყველა ფაბრიკა-ქარხნები, რომელნიც ამუშავებენ ტულის მუშების მიმართვას, პირობას ზდებენ, რომ გააძლიერებენ ბრძოლას სამრეწველო საფინანსო გეგმისათვის, მეტი პასუხისმგებლობით და პროლეტარული შეგნებით მოეპყრობიან წარმოების ინტერესებს და ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით მედგრად გასწევენ წინ სოციალისტური მშენებლობის გზაზე კაპიტალიზმის უკანასკნელ ნაშთების ძირფესვიანად აღმოსაფხვრელად.

ხუთწლედის გადამწყვეტი წლის გეგმების შესრულების ძირითად პირობას წარმოადგენს შრომის სოციალისტური ფორმების გაძლიერება, ფართოდ განვითარება სოციალისტურ შეჯიბრებისა და დამკვრელობის. თბილისის პროლეტარები პირობას სდებენ, რომ ერთი ორად გაზრდიან დამკვრელ ბრიგადებში ჩაბმულ ენტუზიასტების რიცხვს. ამიტომ თბილისის მთელ რიგ საწარმოებში ჩამოყალიბდა ტულის მუშების მიმართვის დამუშავებასთან დაკავშირებით „518“ და „1040“ სახელობის დამკვრელი ბრიგადები. მაგ. მკერავის № 2 ფაბრიკაში ჩამოყალიბდა 20 ახალი დამკვრელი ბრიგადა, საქონლის სადგურის მუშებმა პირობა დასდეს, რათა 1 მაისისთვის სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის გარეშე არ დარჩეს არც ერთი მუშა. ქეჩის ქარხანაში „518“ სახელობის ბრიგადაში ჩაეწერა 16 საუკეთესო დამკვრელი, ფეხსაცმელების ფაბრიკაში ტულის მუშების საპასუხოთ ჩამოყალიბდა ახალი ბრიგადა 37 კაცის შემადგენლობით და სხვა.

თბილისის პროლეტარები პირობას სდებენ, რომ სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ფონდის გადიდების მიზნით შეამცირებენ თვითღირებულებას, აღწევენ შრომის ნაყოფიერებას, განამტკიცებენ საწარმოო დისციპლინას, სასტიკ ბრძოლას გამოუცხადებენ წამგლეჯ ელემენტებს, გაცდენებს და საერთოდ შრომის ყველა დეზერტირებს. თბილისის პროლეტარები ტულის მუშების საპასუხოთ პირობას სდებენ, რომ გაადიდებენ გამომუშავების ნორმებს, მოახდენენ ამ ნორმების გადასინჯვას მათი გადიდების მხრივ და წამოაყენებენ გამომუშავების შემხვედრ ნორმებს თვით საამქროებიდან და დაზგებიდან.

ტულის მუშების მიმართვამ აამოძრავა მუშათა მასები, კიდევ უფრო დარაზმა ისინი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გენერალური ხაზის და ლენინური პარტიის ირგვლივ. მთელ რიგ საწარმოებში ტულის მუშების საპასუხოთ საუკეთესო დამკვრელებმა განცხადება შეიტანეს პარტიაში მიღების შესახებ. მუშათა საუკეთესო ნაწილის ლტოლვა პარტიისაკენ აიხსნება ჩვენი პარტიის ავტორიტეტის უდიდესი ზრდით და ჩვენი საგულისხმო მიღწევებით სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე. მუშათა ამ მასიურ ლტოლვას პარტიისაკენ სათანადო ხელმძღვანელობა უნდა გაეწიოს და ყველაზე საუკეთესო, კლასობრივად შეგნებული პროლეტარების ხარჯზე კიდევ უფრო უნდა განვამტკიცოთ ლენინური პარტია.

ინდუსტრიალიზაციის ტემპის დაჩქარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს რაციონალიზატორულ ღონისძიებათა გატარება, მუშათა გამომგონებლობის ფართო გაშლა, ლითონის და საწვავი მასალის ხარჯვის ეკონომია და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება. თბილისის პროლეტარები პირობას სდებენ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ წარმოების რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლების გაუმჯობესებას, ტეხნიკის დაუფლების და თვითეული მუშის კვალიფიკაციის ამაღლების ამოცანას. ჩვენი მებრძოლი ლოზუნგი იქნება—ამბობენ თბილისის საწარმოთა მუშები—წარმოების მუშაობით მეტი დაინტერესება, საწარმოო პროცესის რაც შეიძლება დეტალური შესწავლა და საწარმოებზე პროლეტარული ხელმძღვანელობის გაძლიერება.

თბილისის მუშები ტულის მუშების მიმართვის საპასუხოთ მოითხოვენ პროლეტარულ სახელმწიფოსაგან ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის სახიობის სესხის გამოშვებას. თბილისის ზოგიერთ საწარმოთა ამ გადაწყვეტილებამ ინდუსტრიალიზაციის ახალი სესხის გამოშვების შესახებ ფართო გამოხმაურება უნდა ჰპოვოს ქალაქისა და სოფლის მშრომელთა მასებში, რადგან ხუთწლედის მესამე წლის დიად საქმეთა. პროგრამის განხორციელება მოითხოვს სოციალისტური დაგროვების ფონდის გაძლიერებას და მშრომელთა აქტიურ მატერიალურ მონაწილეობას ქვეყნის სოციალისტურ რეკონსტრუქციაში. ამით ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ ინდუსტრიალიზაციის მაღალი ტემპების განხორციელებას და არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ ტემპების შენელება, როგორც ამას ქადაგებენ მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტები. არ უნდა დავუშვათ ტემპების შენელება, არამედ იგი უფრო გავადიდოთ ის, რადგან „ამას მოითხოვს ჩვენგან ჩვენი ვალდებულება საბჭოთა კავშირის მუშებისა და გლეხების წინაშე; ამას მოითხოვს ჩვენგან ჩვენი ვალდებულება მთელი ქვეყნის მუშათა კლასის წინაშე“ (სტალინი).

ტულის მუშების მიმართვას უნდა იცნობდეს თვითეული მუშა. ამ მიმართვის დამუშავება გამოყენებული უნდა იქნას მუშათა ფართო ფენებში შრომითი ენტუზიაზმის ზრდისა და მუშათა კიდევ უფრო დარაზმვისათვის ხუთწლედის გადამწყვეტი წლის გეგმების გადაჭარბებით შესასრულებლად. საჭიროა ტულის მუშების მიმართვისას თვითეულ საწარმოს მიერ თავის მხრივ სათანადო კონკრეტულ ღონისძიებათა დასახვა ტემპების დაჩქარებისათვის, ჩამორჩენილების საზოგადოებრივ ბუქსირზე ასაყვანათ და სოციალისტური შეჯიბრების მაქსიმალურად გასაშლელად.

დაუყოვნებლივ მოვემზადოთ მოსავლის ასაკრეფად

„მზადება გაზაფხულის კამპანიისათვის ეხლავე უნდა დაუკავშირდეს მოსავლის აკრეფის კამპანიის მომზადებას. სწორედ გასული წლის მოსავლის აკრეფის კამპანიის დეფექტების გამო ჩვენ სავსებით ვერ უზრუნველვყავით საუცხოვო მოსავლის შედეგები და ამან უნდა გვასწავლოს, თუ როგორ უნდა ვემზადოთ მოსავლის აკრეფის კამპანიისათვის“.

თუ რამდენად სწორია ამხ. მოლოტოვის ეს მითითება (საკავშირო ცაკის დეკემბრის სესიაზე), შეიძლება დავინახოთ იქიდან, რომ მოსავლის აკრეფისათვის მომზადების საგრძნობლად დაგვიანებისა და ამ კამპანიის არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაციის გამო, გასულ წელს ჩვენ სრულიად აუკრეფავი დაგვრჩა პური რამდენიმე ათი ათას ჰექტარზე. კულტურების არა სწორი განაწილებისა და მოსავლის პირდაპირ ბარბაროსული წესით აკრეფის წყალობით, საბჭოთა კავშირში დაკარგული პურის რაოდენობა, ლენინის სახელობის სასოფლო - სამეურნეო აკადემიის გამოანგარიშებით, უდრის 11,7 მილიონ ტონიდან 16, 17 მილიონ ტონამდე.

ნათესის გაფართოება 13.700,000 ჰექტარით (10,7 პროც.) და, კერძოდ, ტეხნიკური კულტურების ფართობის გადიდება 3 მილიონი ჰექტარით მოსავლის აკრეფის დროს ძალზე დიდ შრომას მოითხოვს. თავისთავად ცხადია, რომ სასოფლო - სამეურნეო წარმოების სოციალური სტრუქტურა ამჟამად მკვეთრად შეიცვალა და შრომის დახარჯვის ნორმა ერთ ჰექტარზე შემცირდა.

მოსავლის აკრეფის კამპანიის ძირითადი დეფექტები გასულ წელს გამოიხატება იმაში, რომ საგრძნობლად დავაგვიანეთ გეგმის შედგენა და მომზადება, საგრძნობლად დავაგვიანეთ თვით აკრეფა. ასაკრეფი მანქანების და ტრაქტორების რემონტი, თავის დროზე არ მივიტანეთ ადგილებზე მანქანები და ვერ შევძელით ძალების სწორად განაწილება და შრომის ორგანიზაცია. მთელ რიგ ადგილებში ოპორტუნისტული ათვალწუნებით შეხვდნენ მარტივი მანქანების გამოყენებას, საერთოდ კი მთლიანად ვერ გამოიყენეს მანქანები, ვერ შეუთანხმეს აკრეფა-გალეწვას, სუსტად გააჩაღეს მასიური მუშაობა, აქა-იქ ვერ შეძლეს სასტიკი წინააღმდეგობა გაეწიათ კულაკისათვის და, ბოლოს, მეტ წილ კოლმეურნეობებში კოლმეურნეებს წარმოდგენა არ ჰქონდათ იმაზე, თუ როგორ განაწილდებოდა მოსავალი. ამან, თავის მხრივ, საბაბი მისცა კულაკებს გაეწიათ აგიტაცია, ხელი შეუწყო მოსავლის სულადობის მიხედვით განაწილების და სხვის ხარჯზე ყოფნის განწყობილებას და გამოიწვია შრომის დისციპლინის საგრძნობლად დაცემა.

როგორია წლევანდელი მოსავლის აკრეფის კამპანიის თავისებურებანი? მიმდინარე წლის მოსავლის აკრეფის კამპანიის ძირითადი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ასაკრეფი ფართობის ნახევარი წელს ეკუთვნის სოფლის მეურნეობის განსაზოგადოებულ სექტორს. ეს იმას ნიშნავს, რომ განსაზოგადოებული სექტორი ხელმძღვანელო როლს ითამაშებს მოსავლის აკრეფის კამპანიაში, მას დაეკისრება მთლიანად პასუხისმგებლობა არა მარტო საკუთარი მინდვრების, არამედ ინდივიდუალური სექტორის მინდვრების აკრეფისათვისაც.

ტეხნიკური და მარცვლეული კულტურების მოსავლის ზედმეტი სასაქონლო ნაწილი წელს წავა, როგორც ნედლეული, ფაბრიკა-ქარხნებში და გამოყენებულ იქნება საექსპორტო ფონდებისთვის და მუშების მომარაგებისათვის ხუთწლედის მეოთხე წელს.

მოსავლის აკრეფის კამპანია უნდა გადაიქცეს ახალ მნიშვნელოვან მომენტად საკოლმეურნეო მოძრაობის შემდგომ განვითარებასა და მიღწეულის განმტკიცებაში.

ეს თავისებურებანი გვავალებენ ეხლავე, დაუყოვნებლივ დავსვათ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და საბჭოთა ორგანოების წინაშე საკითხი მოსავლის აკრეფისათვის მზადების შესახებ, რათა ეს მზადება დაიწყოს თესვის პერიოდში და გაგრძელდეს თესვის შემდეგაც.

ფაბრიკა - ქარხნების მუშათა საზოგადოებრიობამ ეხლავე უნდა დაიწყოს ასაკრეფი მანქანებისა და სახნავი კულტურების დასამუშავებელი მანქანების დამზადების გეგმების შესრულების შემოწმება.

ტრანსპორტის მუშებმა, სათესი ტვირთის გადაზიდვასთან ერთად, უნდა განიხილონ მოსავლის ასაკრეფი ინვენტარის გაგზავნის და ახალი მოსავლის დიდძალი მარცვლეულის გადაზიდვის გეგმები.

ამ თავითვე უნდა შევუდგეთ მოსავლის ასაკრეფი გეგმების შედგენას და გავითვალისწინოთ გასული წლის ყველა შეცდომები და მოუწესრიგებლობა, რათა თესვის დასასრულს ყოველმა კოლმეურნემ, საბჭოთა მეურნეობის ყოველმა მუშამ იცოდეს მუშაობის რა წილი და რა სამუშაო შეხვდება მას, რომ შესაძლებელი გახდეს ძალების სწორად განაწილება და როგორც რთული, ისე მარტივი ინვენტარის მაქსიმალურად და მთლიანად გამოყენება.

ნაგვიანევი გაზაფხულისა და თესვის მზადების ვადების შემცირების გამო, მაშასადამე, მოსავლის აკრეფის ვადის შემცირების გამოც, განსაკუთრებული სიმწვავით ისმება შრომის ორგანიზაციის და ცოცხალი და მექანიკური გამწევი ძალისა და ინვენტარის სწორი გამოყენების საკითხები. შარშან მთელ რიგ შემთხვევებში ადგილი ჰქონდა ყოვლად სამაგელ მდგომარეობას, როცა კოლმეურნეობები უარს ამბობდნენ მარტივი ინვენტარის გამოყენებაზე. ცუდათ და არამთლიანად იყენებდნენ რთულ ინვენტარს, ათვალწუნებული ჰყავდათ ცხენი. ცუდათ არის აგრეთვე ადამიანის შრომისა და მანქანის შეთანხმების საქმე. მრავალი შემთხვევა იყო, როცა ადამიანები მუშაობდნენ მარტივ მანქანებზე და რთული მანქანები კი გაჩერებული იყო. ძალების სწორ განაწილებაზე, შრომის სწორ ორგანიზაციაზე სანარდო მუშაობის მიხედვით და ყველა მექანიკური საშუალებებისა და მუშა-ხელის მთლიანად გამოყენებაზე დამოკიდებული მოსავლის აკრეფის წარმატება. ამიტომ ეს საკითხები ახლავე უნდა დაისვას მოსავლის აკრეფის კამპანიის მომზადების ცენტრში. ამავითვე საჭიროა მზადების დაწყება ინვენტარის რემონტისათვის. ამ მიზნით უნდა გამოვიყენოთ ყველა არსებული თავისუფალი ძალები, ყველა ადგილობრივი მასალა და დავიცვათ სასტიკი რიგი რემონტის საქმეში; სხვა სიტყვით, უწინარეს ყოვლისა აუცილებელია იმ ინვენტარის რემონტი, რომელიც მუშაობის დროს საჭირო იქნება პირველ რიგში.

საბჭოთა ორგანოებმა ადგილებზე უნდა დაიწყონ შემოწმება და მომზადება, აკრეფის კამპანიისათვის როგორც განსაზოგადოებულ, ისე ინდივიდუალურ სექტორში. მათ ეხლავე უნდა გაითვალისწინონ — როგორი დახმარების გაწევაა საჭირო და როგორ დახმარებას გაუწევენ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ინდივიდუალურ მეურნეობებს.

სავსებით ცხადია, რომ კულაკი, როგორც შარშან, გააფთრებულ წინააღმდეგობას გაუწევს მოსავლის აკრეფის კამპანიის მოწესრიგებულად ჩატარებას. კულაკის აგიტაცია პირველ რიგში მიმართული იქნება კოლმეურნეობებისა და ინდივიდუალური მეურნეობების გათიშვისაკენ, კოლმეურნეობებს შორის მოსავლის სულადობის მიხედვით განაწილებისა და სხვის ხარჯზე ყოფნის განწყობილების გაღვივებისაკენ. კოლმეურნეობებმა ამ აგიტაციას უნდა დაუპირისპირონ მოსავლის განაწილების ზუსტი გეგმის თავის დროზე შედგენა შემდეგი პრინციპის მიხედვით: „ვინც მეტს და უკეთ მუშაობს, იგი მეტს ღებულობს, ვინც არ მუშაობს — ის არაფერს არ ღებულობს“, დაუპირისპირონ აგრეთვე ფართო ამხანაგური დახმარება ინდივიდუალური მეურნეობებისათვის.

მოსავლის აკრეფის კამპანიამ ხელი უნდა შეუწყოს და შეუწყობს კიდეც მასიურ ლტოლვას კოლმეურნეობებისაკენ.

„იზვესტია“, 14 აპრილი.

რესპუბლიკის გამოცხადება ესპანეთში

მუნიციპალური არჩევნების შედეგები ესპანეთში

პარიზი, 14 აპრილი. ესპანეთიდან მიღებული ცნობებით, პროვინციალური ცენტრების 44 ქალაქში, გარდა 4 ქალაქისა, სადაც მონარქისტებმა გაიმარჯვეს, და ერთისა, სადაც ხმები თანასწორად გაიყო, მუნიციპალური არჩევნები დამთავრდა რესპუბლიკანელების გამარჯვებით. 39 ცენტრში არჩეულ იქნა 746 რესპუბლიკანელი და 435 მონარქისტი. საფრანგეთის მემარცხენე - ბურჟუაზიული პრესა ესპანეთის მეფეს ალფონს ურჩევს — აიკრას ბარგი-ბარხანა.

შეჯამებული ცნობები არ იძლევიან წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რამდენი ხმა მიიღო კომპარტიამ.

„ლიუმანიტე“ იუწყება, რომ არჩევნებზე ესპანეთის კომპარტია მიდიოდა შემდეგი პროგრამით: მონარქიის და ბურჟუაზიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, მუშურ-გლეხურ საბჭოთა ესპანეთისათვის, მსხვილ მიწათმფლობელთა მიწების ექსპროპრიაცია გამოუსყიდავად, ამ მიწების გლეხებისათვის გადაცემა, საპოტეკო და სხვა საგლეხო დავალიანების მოსპობა, ხელფასის გადიდებისათვის მებრძოლ გლეხთა კომიტეტების დაარსება, სამუშაო დღის შემცირება, მუშების დაზღვევა, საბჭოთა კავშირის ცნობა და სხვ. (ადს).

პარიზი, 14 აპრილი. უკანასკნელი ცნობებით, ესპანეთის 49 პროვინციალურ ცენტრში, მადრიდისა და ბარსელონის ჩათვლით, მონარქისტებმა მიიღეს 595 მანდატი, ხოლო რესპუბლიკანელებმა და სოციალისტებმა — 972 მანდატი.

მუნიციპალური არჩევნების შედეგი სასტიკ ლახვარს სცემს მონარქისტულ რეჟიმს. მინისტრთა საბჭოს სასწრაფო სხდომაზე მინისტრების უმრავლესობამ შეუძლებლად სცნო ხელისუფლების სათავეში ახლანდელი კაბინეტის შემდგომი დარჩენა. პრემიერმა აზნარმა მეფეს ურჩია — ხელისუფლების სათავეში ჩააყენოს კონსტიტუციონალისტები ბერგანინი, ვილანუევი და სანჩეს გერრა. მთავრობა თავს სთვლის „ფაქტიურად გადამდგარად“. არჩევნების წარმატებით წათამამებულმა რესპუბლიკანელებისა და სოციალისტების ლიდერებმა გამოაქვეყნეს დეკლარაცია, რომელშიაც აცხადებენ, რომ მათ „გადასწყვიტეს, ენერგიული ბრძოლა აწარმოონ იმისათვის, რათა დააკმაყოფილონ ერის ნებისყოფა, ერის, რომელიც მოითხოვს რესპუბლიკანური რეჟიმის დამყარებას“.

მადრიდში გავრცელდა ხმა მეფე ალფონსის მიერ ტახტზე უარის თქმის და მისი მადრიდიდან წასვლის შესახებ. ამ ხმებთან დაკავშირებით, გვიან, საღამოთი მანიფესტანტების ჯგუფებმა მთელ ქალაქში იწყეს შეკრება. მრავალი ათასი დემონსტრანტი რესპუბლიკური დროშებით და მარსელიოზას სიმღერით დადიოდა ქუჩებში და ჯარს უძმობილდებოდა (ადს).

ესპანეთი რესპუბლიკის გზაზე

პარიზი, 14 აპრილი. მუნიციპალური არჩევნების შედეგმა, რაც მონარქიული რეჟიმისათვის დიდ დამარცხებას მოასწავებდა, უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მთელ ესპანეთში. ჰავასის სააგენტოს გადმოცემით, მინისტრთა უმრავლესობა შეუძლებლად სთვლის ეხლანდელი მთავრობის დარჩენას. მადრიდში გავრცელდა ხმები მეფე ალფონსის ტახტიდან გადადგომისა და მადრიდიდან წასვლის შესახებ (ალფონს მე-13 ტახტიდან გადადგომას ადასტურებს ჰავასის სააგენტოს ცნობა მადრიდიდან).

ამ ხმებთან დაკავშირებით, ღამით მთელ ქალაქში შეგროვდნენ მანიფესტანტების ჯგუფები. დემონსტრანტები რესპუბლიკანური დროშებით და მარსელიოზის სიმღერით დადიოდნენ ქუჩებში და უძმობილდებოდნენ ჟანდარმერიას. სიბილიის მოედანზე მოხდა შეტაკება დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის, რომელმაც სროლა აუტეხა ხალხს. დემონსტრანტებიდან ბევრი დაიჭრა (ადს).

ესპანეთის ბევრ ქალაქში რესპუბლიკა გამოაცხადეს

პარიზი, 14 აპრილი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, ქალაქ ეიბარში (ჩრდილოეთ დასავლეთი ესპანეთი) გამოცხადდა რესპუბლიკა. ეიბარის მუნიციპალიტეტმა მოწოდებით მიმართა იმ ქალაქებს, სადაც არჩევნებში გაიმარჯვეს რესპუბლიკანელებმა, მიბაძონ მის მაგალითს. უკანასკნელი ცნობებით, რესპუბლიკა გამოცხადდა აგრეთვე ბარსელონაში, კორდოვაში, სარაგოსში, სენსებასტიანეში, ულუელვში, ალმენაივიგოში (ადს).

რესპუბლიკის დროშა ბარსელონის მუნიციპალიტეტზე

პარიზი, 14 აპრილი. მადრიდიდან იუწყებიან: „მუნიციპალიტეტის შენობაზე ბარსელონაში, რომელიც რესპუბლიკანელების ხელში გადავიდა, რესპუბლიკის დროშა ფრიალებს“ (ადს).

ალფონს მე-13 ტახტიდან გადადგა

პარიზი, 14 აპრილი. ჰავასის სააგენტო მადრიდიდან იუწყება, რომ ესპანეთის მეფე ალფონს მე-13 ტახტიდან გადადგა (ადს).

რესპუბლიკა ესპანეთში

მადრიდის ქუჩებზე გაისმის „მარსელიოზა“. ალფონს მე-13-ის ბარგი შეკრულია და პარიზს გამგზავრებულა. რესპუბლიკის დროშა ფრიალებს მთელ ესპანეთში.

კიდევ ერთი მონარქია ჩაბარდა ისტორიას.

ესპანეთში მომხდარ ამბებს დიდი მნიშვნელობა აქვს. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს ჩვენ საქმე გვქონდეს ავანტიურისტულ, გენერლების გადატრიალებასთან, რომლებიც სასახლეს ფარგლებს არ სცილდება, თუმცა ასეთ „რევოლუციებს“ ესპანეთი ჩვეულია.

მონარქიის ლიკვიდაციას წინ უსწრებდა ფართო სახალხო მოძრაობა. რამოდენიმე თვეების განმავლობაში ესპანეთი სამოქალაქო ბრძოლის ასპარეზს წარმოადგენდა, რომელიც გამოხატულებას ხან ღია აშკარა ფორმებში პოულობდა, ხან კი მიიმალებოდა.

მართალია რადიკალური სტუდენტების და მოწინავეთა მოძრაობა რევოლუციონურ აქტებში მეღავნდებოდა, მაგრამ ეს მხოლოდ მოვლენის გარეგანი გამოხატულება იყო.

ესპანეთში მსოფლიო ეკონომიური კრიზისი დიდი სიმძლავრით პოულობს თავის გამოხატულებას.

არსებითად აგრარული ქვეყანა განსაკუთრებული სიმწვავით განიცდიდა აგრარულ და სამრეწველო კრიზისის ორმაგ დაწოლას.

მსოფლიო ბაზის არევდარევა, სას.-სამეურნეო პროდუქტებზე ფასების კატასტროფიულმა დაცემამ ქვეყანა ეკონომიური კრიზისის ჩახში მოაქცია.

ესპანეთის მშრომელ მასების ექსპლოატაცია პირდაპირ საშუალო საუკუნეების ხასიათს ატარებდა. მთელ რიგ პროვინციებში ფეოდალიზმის ნაშთები დღემდე გაბატონებული არიან. ფინანსიურ კაპიტალის ყაჩაღები, რომლებმაც შესძლეს ქვეყნის ნაძარცვნაგლეჯიდან დიდი ნაწილი სამრეწველო კაპიტალისტების და მიწადმფლობელთათვის გადაეცათ, თავისთავს უგვირგვინო მეფეებად სთვლიდნენ ესპანეთში.

ყოველივე ამას აგვირგვინებდა მონარქიული ოლიგარხია ალფონს მე-13-ს მეთაურობით, რომელიც დასრულებული გამოხატულება იყო უბადრუკობისა და იმ საზიზღრობის, რომელსაც თვითმპყრობელი მეფეები ისტორიის მთელ მანძილზე წარმოადგენდნენ.

სამრეწველო პროლეტარიატი, რომელიც მძლავრ ძალას წარმოადგენს მხოლოდ რამოდენიმე პროვინციაში, აქამდე ვერ თამაშობდა გადამწყვეტ ხელმძღვანელ როლს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მუშათა კლასი და მისი პარტია, კომუნისტური პარტია, ვერ მეთაურობდა მშრომელი მასების რევოლუციონურ განმანთავისუფლებელ ბრძოლას. რევოლუციონურ ბრძოლის მეთაურად გვევლინებოდა რადიკალური წვრილ - ბურჟუაზიული ელემენტები. მუშათა მოძრაობაში კი დიდხანს ბატონობდა ანარქიული სინდიკალიზმი.

მხოლოდ ბოლო დროს კომუნისტური პარტია იწყებს ხელმძღვანელ როლის თამაშს მშრომელთა განმანთავისუფლებელ ბრძოლაში. მუნიციპალურ არჩევნებში, სადაც რესპუბლიკანელებმა დიდ გამარჯვებას მიაღწიეს, კომუნისტური პარტია გამოვიდა, როგორც მეთაური ორგანიზატორი მუშათა კლასის და სოფლის მშრომელი გლეხობისა.

ახალი მთავრობა, რომელიც ჩამოყალიბდა ესპანეთში, ეს ბურჟუაზიული მთავრობაა, რომლის შემადგენლობაში პატრონთან ერთად მონაწილეობას იღებს მისი ლაქიაც ესპანეთის სოციალისტების სახით.

ამოძრავებული მასები ვერ და არც დაკმაყოფილდებიან იმ რეფორმებით, რომლის საწყალობლობით ესპანეთის ბურჟუაზია მოინდომებს რევოლუციის ჩაქრობას.

გადამწყვეტი ბრძოლა წინ არის. ესპანეთის კომუნისტური პარტია რაზმავს მასებს მუშათა და გლეხთა. საბჭოთა ესპანეთისათვის. ის მოითხოვს მიწების ჩამორთმევას მსხვილ მიწადმფლობელთაგან და მათ გადაცემას გლეხებისათვის ჰიპოტეკური და სხვა დავალიანების მოსპობას, გლეხთა ბრძოლის კომიტეტების დაარსებას, მუშათა კლასისათვის სამუშაო დღის შემცირებას, საბჭოთა კავშირის იურიდიულ ცნობას.

მშრომელი მასების დარაზმვა ამ ლოზუნგების გარშემო ჩვენი მოძმე პარტიის დამკვრელი და გადამწყვეტი ამოცანაა.

ესპანეთის რევოლუცია იმის მაჩვენებელია, რომ მთელ რიგ ქვეყნებში ეკონომიური კრიზისი პოლიტიკურ კრიზისად იქცევა.

ვ. მ—ნი

გერმანია-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდა

ბერლინი, 14 აპრილი. 14 აპრილს გამოქვეყნდა შემდეგი კომიუნიკე გერმანია - საბჭოთა კავშირის ეკონომიური მოლაპარაკების წარმატებით დამთავრების შესახებ ბერლინში:

„საბჭოთა კავშირსა და გერმანელ მრეწველებს შორის 28 თებერვალს მოსკოვში დაწყებული მოლაპარაკება 14 აპრილს დამთავრდა ბერლინში. ყველა საკითხში მიღწეულ იქნა ერთსულოვანი შეთანხმება იმ საერთო პირობების შესახებ, რომლების მიხედვითაც უნდა მოხდეს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს შეკვეთების დაკრედიტება და ამ დაკვეთების განაწილება გერმანიაში. 14 აპრილს შეთანხმებას ხელს მოაწერენ (ადს).

პოლონეთ-რუმინეთის საბაჟო კავშირი

ვენა, 14 აპრილი. რუმინეთიდან იუწყებიან, რომ, გაზეთ „ბესარაბსკოე სლოვო“-ს ცნობებით პოლონეთმა, ავსტრია-გერმანიის შეთანხმების დასაპირისპირებლად, თავისი ბუხარესტელი ელჩის მეშვეობით დაიწყო რუმინეთთან მოლაპარაკება პოლონეთ-რუმინეთის საბაჟო კავშირის შესახებ. (ადს)

ფაშისტური ტერორი გერმანიაში

სისხლისმღვრელი შეტაკება ჰამბურგის მუშებსა და პოლიციას შორის

ბერლინი, 14 აპრილი. ხანგრძლივი აკრძალვის შემდეგ, კვლავ გამოვიდა კომუნისტური „ჰამბურგელ ფოლკსცაიტუნგი“. ბევრი მუშა გაზეთს თვითონ ავრცელებდა და ქუჩებში ჰყიდდა. პეტერშტრასეზე პოლიციელი შეეცადა მუშა ვეინბერგერისათვის აეკრძალა გაზეთის გაყიდვა და „ჰამბურგერ ფოლკსცაიტუნგ“-ის წამოძახება. მან მოისურვა ვეინბერგერის დაპატიმრება, მაგრამ ამ უკანასკნელს სხვა მუშები მიეშველნენ. პოლიციელმა დაუყოვნებლივ მოიმარჯვა რეზინის ჯოხი და იწყო მუშების და გაზეთის გამყიდავის ცემა. მუშებმა პოლიციელს წინააღმდეგობა გაუწიეს. ვეინბერგერმა გაქცევა დააპირა. პოლიციელმა, რომელმაც შენიშნა ეს, ტყვია დაახალა ვეინბერგერი მძიმედ ზურგში დაიჭრა. ის მიიყვანეს ნავთსადგურის საავადმყოფოში. **პოლიციელის მოქმედებამ ჰამბურგელ მუშებს შორის დიდი აღშფოთება გამოიწვია.** (ადს).

რუმინელი ბოიარების ლაშქრობა
საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ

ბერლინი, 14 აპრილი. „ფოსიშე ცაიტუნგ“-ს ბუხარესტიდან ატყობინებენ, რომ რუმინეთის ნავთის მრეწველების კავშირმა მიიღო გადაწყვეტილება, რომელშიაც მოითხოვს ზომების მიღებას „საბჭოთა დემპინგის“ წინააღმდეგ, განსაკუთრებით კი დუნაით საბჭოთა პურის და ნავთის ტრანზიტის აკრძალვას. „ფოსიშე ცაიტუნგ“- სწერს:

„რუმინეთის ნავთის მრეწველობის ხელმძღვანელთა მკაცრი კილო, რომელშიაც ინგლისის კაპიტალიც მონაწილეობს, არ არის მოულოდნელი მას შემდეგ, რაც ბუხარესტს ოფიციალურად ეწვია დეტერდინგი. რუმინეთის ნავთის მრეწველობის საბრალო გამოწვევა საბჭოთა კავშირის მისამართით იმას მოასწავებს, რომ რუმინეთის ნავთის მრეწველობა, მისთვის უცხოეთის სესხის მიცემის სამაგიეროდ, თავის ნეიტრალიტეტზე უარს აცხადებს. ამ პოლიტიკაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს ტიტულესკუს მჭიდრო კავშირი ლონდონის საქმიან წრეებთან (ადს).

კირილე ნიადაგს სინჯავს ინტერვენციისათვის

სტამბოლი, 14 აპრილი. ამას წინად სირიაში ჩავიდა ყოფილი დიდი მთავარი კირილე. ამასთან დაკავშირებით, ბეირუტის გაზეთ „ოხრარ“-ი იუწყება, რომ მას ხელთ აქვს საიმედო დოკუმენტები, სადაც ჩანს, რომ კირილეს გამგზავრებას **კავშირი აქვს მომავალ ინტერვენციასთან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.** კირილეს მოლაპარაკება ჰქონდა უმთავრესად ქურთებისა და სომხეთის წარმომადგენლებთან. მან მიაღწია მათთან შეთანხმებას იმის შესახებ, რომ ინტერვენციის მომზადების მიზნით **მოაწყონ პროვოკაციული აჯანყება კავკასიასა და ანატოლიაში თურქეთისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.**

ამასთან გაზეთი აღნიშნავს, რომ ინგლისელი მაიორი **უილმსონი** ხელმძღვანელ როლს თამაშობდა ამ მოლაპარაკებაში და, რომ მიღწეული შეთანხმება ითვალისწინებს თეთრგვარდიელთა რაზმების გამოყენებას (ეგვიპტესა და სირიაში დღესაც არიან ვრანგელის არმიის ნაშთები) ინტერვენციისთვის. (ადს).

ელექტრონის სკამი მოქმედობს

რვა ზანგს მიუსაჯეს სიკვდილი ელექტრონის სკამზე

ნიუ - იორკი, 14 აპრილი. სასამართლომ სკოტსბოროში (ალაბამის შტატი) 8 ახალგაზრდა ზანგს მიუსაჯა სიკვდილი ელექტრონის სკამზე. მსჯავრდადებულთ ბრალდებოდათ ორი თეთრი ახალგაზრდა ქალის გაუპატიურება. 10 ათასი კაცისაგან შემდგარი ბრბო სასამართლოს შენობის წინ იმუქრებოდა, რომ ლინჩის წესით გაასამართლებდა ზანგებს, თუ ბრალდებულებს გაამართლებდნენ. სასამართლოს განაჩენს მქუხარე ტაშით შეხვდა ბრბო. ვექილები, რომლებსაც ბრალდებულნი უნდა დაეცვათ, აშკარა საბოტაჟს ეწეოდნენ. რემედასი მოუწოდებს მუშებს — მოაწყონ საპროტესტო დემონსტრაციები. (ადს).

საფრანგეთი და საბჭოთა კავშირი

საფრანგეთის ვაჭრობის მინისტრი როლენი საფრანგეთ - საბჭოთა ვაჭრობის შესახებ

პარიზი, 14 აპრილი. ჰავასის სააგენტო იუწყება, ვაჭრობის მინისტრმა როლენმა ლილში, საერთაშორისო ბაზრობაზე წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა, რომ საფრანგეთს უარი არ უთქვამს შეთანხმებაზე, რომელიც აერთიანებს მისი საბაჟო ტარიფების 72 პროცენტს. ამიტომ საფრანგეთს უფლება აქვს მოითხოვოს სამაგიერო და მიიღოს სათანადო თავდასაცავი ზომები იმ ქვეყნის წინააღმდეგ, რომელიც მკვეთრად ადიდებს ბაჟებს ან ფარულ დემპინგს მიმართავს. რაც შეეხება რუსეთს, რომლის ეკონომიურ სისტემასაც განსაკუთრებული ხასიათი აქვს, საფრანგეთი არ ფიქრობს მასთან სავაჭრო ურთიერთობის გაწყვეტას ან მის მიმართ რაიმე ეკონომიური გარემოცვის პოლიტიკას, მაგრამ ამავე დროს საფრანგეთს საჭიროდ მიაჩნია საქონლთბრუნვა დამყაროს წონასწორობისა და ურთიერთი სარგებლობის ბაზაზე (ადს).

მინისტრთა ახალი კაბინეტი იაპონიაში

ტოკიო, 14 აპრილი. გამოქვეყნდა ახალი კაბინეტის შემადგენლობა: პრემიერი — ვაკაცუკი, შინაგან საქმეთა მინისტრი — ადაჩი, საგარეო საქმეთა მინისტრი — სიდეხარა, ფინანსთა მინისტრი — ინოუე, საზღვაო მინისტრი — ადმირალი აბო, იუსტიციის მინისტრი — ვატანაბე, სახალხო განათლების მინისტრი — ტანაკა, მიწათმოქმედებისა და სატყეო მინისტრი — მაცუდა, ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი — კოიძუმი, რკინისგზათა მინისტრი — ეგი, სამხედრო მინისტრი — გენერალი მინამი, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი — საკურაუჩი, კოლონიების მინისტრი—ხარა.

პრემიერის ვაკაცუკისა და სამხედრო, ვაჭრობა - მრეწველობისა და კოლონიების მინისტრების გარდა, ყველა დანარჩენ მინისტრებს იგივე თანამდებობანი ეჭირათ ხამაგუჩის კაბინეტში. მინისტრთა კაბინეტის ძველი შემადგენლობიდან ახალ კაბინეტში არ შესულა უგაკი, ყოფ. სამხედრო მინისტრი, ტავარა, ყოფ. ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი და მაცუდა, ყოფ. კოლონიების მინისტრი. საერთო აზრით, ახალი კაბინეტი, რომლის შემადგენლობაც ნაკლებად განირჩევა წინა კაბინეტის შემადგენლობიდან, არავითარ რადიკალურ ცვლილებას არ მიმართავს, იაპონიის საფინანსო და საგარეო პოლიტიკაში. სიდეხარას, დარჩენა საგარეო საქმეთა მინისტრად ადასტურებს წინანდელი პოლიტიკის გაგრძელებას. პრემიერი ვაკაცუკი ყოველთვის მხარს უჭერდა სიდეხარას ხაზს საგარეო პოლიტიკაში. მათ მახლობელი კავშირი აქვთ ერთმანეთთან. ვაკაცუკი იმ კაბინეტის წევრი იყო, რომლის დროსაც მოხდა ხელმოწერა პეკინის ხელშეკრულებაზე (1925 წელს). ამ ხელშეკრულებით აღდგენილ იქნა იაპონიისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობა (ადს).

მეცნიერებისა და ტეხნიკის ყველა პატიოსანი მუშაკი
მედგრად უნდა იბრძოდეს სოციალისტურ მშენებლობისათვის

ამხ. მოლოტოვის სიტყვა

სამეცნიერო და საგამოკვლეო მუშაობის დაგეგმვის საკითხების შესახებ მოწვეულ საკავშირო კონფერენციაზე 1931 წლის 11 აპრილს

მოსკოვი, 14 აპრილი. ამხანაგებო, ნება მიბოძეთ მოგესალმოთ თქვენ, ხოლო კონფერენციის სახით მივესალმო სამეცნიერო-ტეხნიკური მუშაკების მთელ მასას საკავშირო სახკომსაბჭოს და ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით (მქუხარე ტაში). მე გამოსვლა მიხდება კონფერენციის დასასრულს, რაც ადვილებს ჩემი აზრის გამოთქმას კონფერენციის მუშაობის მნიშვნელობის შესახებ.

საბჭოთა კავშირში სამეცნიერო - საგამოკვლეო მუშაობის დაგეგმვის საკითხების შესახებ პირველი კონფერენციის მოწვევის ფაქტს დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს ფაქტი მოწმობს სოციალისტური დაგეგმვის ზრდას ჩვენს ქვეყანაში და საბჭოთა ხელისუფლების ყურადღების გაძლიერებას ამ ამოცანებისადმი. ამ კონფერენციის მოწვევა მაჩვენებელია საზოგადოებრიობის ზრდისა სამეცნიერო-საგამოკვლეო დარგში. [illegible]

[illegible]

პერიოდში ლოიალურად მუშაობდნენ ჩვენ სახელმწიფო აპარატში ბოლშევიკების ხელმძღვანელობით. სამეცნიერო - ტეხნიკურ მუშაკებს შორის ამჟამად არსებული განწყობილების შეფასებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ეხლა ძირითადად უკვე გადასჭრა რევოლუციის უძნელესი ამოცანები, რომლებიც მის წინაშე დაისახა მთელი სიგრძე სიგანით სწორედ ამ უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში. ჩვენში ჯერ კიდევ არსებობს სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის სიძნელეები, მაგრამ უკანასკნელ წლებში სოციალისტურ და კაპიტალისტურ ელემენტებს შორის გაჩაღებულ ბრძოლაში, განსაკუთრებით სოფლად, სოციალიზმმა უკვე მოიპოვა გადამწყვეტი გამარჯვება საბჭოთა კავშირში. ამას საუკეთესოდ ამტკიცებს გლეხობის ძირითადი მასის მიბრუნება [illegible]

[illegible]

უკანასკნელ დროს აღძრულ საკითხს მეცნიერთა ყოფა - ცხოვრების გაუმჯობესების კომისიის ლიკვიდაციის შესახებ. არ შეიძლება შეცდომად და მიუღებლად არ ჩაითვალოს ამ ორგანოს ლიკვიდაციის ცდა აქა-იქ. ამჟამად არ შეიძლება ლაპარაკი ისეთი ორგანოს ლიკვიდაციაზე, რომელიც ხელს უწყობდა და შემდეგშიაც შესძლებს ხელი შეუწყოს სამეცნიერო - ტეხნიკური მუშაკების ყოფა - ცხოვრების გაუმჯობესებას. საქმე ის კი არ არის — დავტოვოთ მეცნიერთა ყოფა - ცხოვრების გაუმჯობესების კომისია იმ სახით, რა სახითაც იგი არსებობს, საქმე იმაშია, რომ არსებობდეს ორგანო, რომელმაც სპეციალურად უნდა ადევნოს თვალყური და განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინოს ჩვენი სამეცნიერო - ტეხნიკური მუშაკების ყოველდღიური საჭიროებისა და მუშაობის პირობებისადმი.

ჩვენში ადგილი აქვს მთელ რიგ არანორმალურ მოვლენებს ისეთ საქმეში, როგორიცაა სამეცნიერო შრომების გამოცემა და სა- [illegible]

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

დღეს მიწას ვაბარებთ ძველი ბოლშევიკური გვარდიის მებრძოლს ამხ. ვანო სტურუას

ამხ. ვანო სტურუას ხსოვნას

ამხ. ვანო სტურუას სახით პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ დაჰკარგეს არა მარტო დაუფასებელი და დაუღალავი მუშაკი, რომელიც მუდამ მზად იყო გაეღო ყოველგვარი მსხვერპლი რევოლიუციისა და სოციალიზმისათვის, არამედ აგრეთვე ბოლშევიკ-კომუნისტთა ძველი რევოლიუციონური გვარდიის ერთ-ერთი საუკეთესო წევრი.

იგი დაიღუპა თავის პოსტზე, როგორც შეფერის ნამდვილ რევოლიუციონერს. სიკვდილამდე ორი-სამი საათის წინ მიუხედავად იმისა, რომ ცუდად გრძნობდა თავს, მან ჩაატარა ამიერ-კავკასიის ცაკთან არსებული ერთ-ერთი კომისიის სხდომა, ხოლო შემდეგ დაესწრო ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმის სხდომას.

იგი მოკვდა 61 წლისა. თუმცა ხნიერი იყო, მაგრამ მუშაობდა როგორც სრულიად ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე. მხურვალე მონაწილეობას იღებდა თითქმის ყველა პარტიულ და საბჭოთა ორგანოების მუშაობაში, ყველგან შეჰქონდა ენტუზიაზმი და თავისი განწყობილებით იტაცებდა სხვებს.

ყოფ. ქუთაისის გუბერნიის, სოფელ კულაშის ღარიბი გლეხის (ყოფილი ყმა) შვილი—იგი 17 წლის იყო, როცა ჩამოვიდა თბილისში ტექნიკურ სასწავლებელში შესასვლელად. მაგრამ ამის ნაცვლად მოხვდა თბილისის რკინის გზის სახელოსნოებში სახარატო საამქროში შეგირდათ, სადაც, როგორც თითონ სწერს თავის ავტობიოგრაფიაში, ღებულობდა 15 კაპეიკს დღეში. ეს ის სახელოსნოებია, რომლის კედლებში რევოლიუციონური გამოცდილება მიიღეს გამოჩენილმა რევოლიუციონერებმა (აბელ ენუქიძე, ძმები ჩოდრიშვილები, გ. ჩხეიძე, მ. ბოჭორიშვილი, და ბევრი სხვა). ამხ. ვანო სტურუამაც აქ მიიღო რევოლიუციონური გამოცდილება. 1896 წელს იგი ერთ-ერთი პირველთაგანი შედის თბილისის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში, რომელიც ახლად დაარსებული იყო. ამ დროიდან იგი სდგება მებრძოლი პროლეტარიატის მოწინავე რიგებში, აქტიურ მონაწილეობას იღებს მუშების რევოლიუციონურ გამოსვლებში თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ვანო დარჩა ურყევი და შეუდრეკელი პროლეტარიატის რევოლიუციონურ ბრძოლაში ყველა მშრომელთა ინტერესებისათვის. 1898 და 1900 წლებში იგი მონაწილეობას იღებდა მუშების ყველა გაფიცვაში, რომელსაც ადგილი ჰქონდა თბილისში, აგრეთვე ყველა არალეგალურ მაისობაში.

1901 წელს იგი გაემგზავრა ბაქოში, სადაც ლ. კეცხოველთან, ენუქიძესთან, ბაქრაძესთან, თოდრიასთან, ბოლქვაძესთან და სხვ. ერთად ეწეოდა არალეგალურ მუშაობას სტამბის მოსაწყობად.

ამასთან ერთად, იგი დადიოდა სხვა ქალაქებშიაც. 1905 წლის რევოლიუციის დროს იგი რევოლიუციონური ორგანიზაციების დავალებით გაემგზავრა მოსკოვში, ორეხოვო-ზუევოში, ორიოლში, ოდესაში, ხოლო იქიდან ბათომში და ბოლოს დაბრუნდა ისევ ბაქოში. პარტიის დავალებით მას არა ერთხელ მოუხდენია ტერორისტული აქტები. თავისი რევოლიუციონური მოღვაწეობისათვის არა ერთხელ ყოფილა დაპატიმრებული და გადასახლებული. თებერვლის რევოლიუციამ მას მოუსწრო თავის სოფელში სამტრედიაში, სადაც იგი არალეგარულად მუშაობდა. საქართველოში მენშევიკების ბატონობის დროს ამხ. სტურუა აწარმოებდა აქტიურ ბრძოლას მენშევიკების და მათი დამქაშების წინააღმდეგ და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბრძოლაში მენშევიკების ბატონობის დასამხობად. ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე იგი დააპატიმრეს მენშევიკებმა და უკან დახევის დროს სხვა ტუსაღებთან ერთად გაგზავნეს ჯერ ქუთაისის, ხოლო შემდეგ ბათომის საპატიმროში. ბათომის საპატიმროდან იგი გამოვიდა მენშევიკების საზღვარგარედ გაქცევის შემდეგ. მის მოღვაწეობას საბჭოთა ხელისუფლების დროს ყველა კარგად იცნობს და ამიტომ ამაზე აღარ ვილაპარაკებთ. ამხ. ვანოს, რომელიც წარმოშობით გლეხი იყო, არასოდეს არ გაუწყვეტია კავშირი სოფელთან. ცხოვრებამ იგი გახადა ნამდვილ პროლეტარად თავისი ფსიხოლოგიით. მას არავითარი განათლება არ მიუღია, მაგრამ საკუთარი ძალღონით მიაღწია იმას, რომ გახდა შეგნებული მარქსისტი-ლენინელი. სწორად ანხორციელებდა პარტიის გენერალურ ხაზს.

როცა ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის წარმოიშვა განხეთქილება იგი სწრაფად გაერკვა საკითხში და როგორც ნამდვილი რევოლიუციონერი და მარქსისტი მიემხრო მე-2 ყრილობის უმრავლესობას ე. ი. დადგა ამხ. ლენინის პოზიციაზე და მას შემდეგ მტკიცედ და ურყევად დარჩა ბოლშევიზმის ერთგული.

მისი მსოფლმხედველობის და პრაქტიკული მოღვაწეობის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება იყო ბოლომდე თანამიმდევრობითი პროლეტარული ინტერნაციონალიზმი. დაე მისი ცხოვრება გახდეს მაგალითი მუშათა და გლეხთა ახალგაზრდა თაობისათვის.

ფ. მახარაძე

საუკეთესო ლენინელი

უეცარმა სიკვდილმა გამოსტაცა ძველი ბოლშევიკური გვარდიის რიგებს ერთი საუკეთესო, უაღრესად თავდადებული ბოლშევიკი ლენინელთაგანი ამხ. ვანო.

კიდევ ერთი სიცოცხლე, ალსავსე რევოლიუციონური თავგანწირვის გრძნობით, გმირობითა და ენტუზიაზმით დაიწვა დაუღალავ ბრძოლაში სოციალიზმის გამარჯვებისათვის.

მისი ცხოვრება წარმოადგენდა მუშათა კლასის ბრძოლას, მისი ბრძოლა — ეს არის ამიერ-კავკასიის მუშებისა და მშრომელი გლეხობის რევოლიუციონური ბრძოლის ისტორია.

ამხანაგ ვანოს მუშაობა, მისი გაბედული კრისტალისებური სუფთა ბოლშევიკური დაუდგრომელი ბუნება საუკეთესო მაგალითს უნდა წარმოადგენდეს ყველა ჩვენთაგანისათვის, პირველ რიგში, მოზარდ თაობისათვის.

პირველად ამხანაგ ვანოს შევხვდი 1920 წელს საქართველოს კომპარტიის ყრილობაზე.

მან იმ წამსვე მიიპყრო ჩემი ყურადღება თავისი ნამდვილი ბოლშევიკური გამოსვლით საქართველოს კომპარტიის ტაქტიკისა და ბრძოლის საკითხების შესახებ არალეგალური მუშაობის პერიოდში.

მენშევიკების კონტრრევოლიუციონური ბატონობის პერიოდში ვანო ეწეოდა აქტიურ მუშაობას პარტიის ცენტრალურ კომიტეტში და ყოველთვის გამოირჩეოდა ორგანიზაციისათვის ხელმძღვანელობის გაწევის უნარით და იმის ცოდნით, რომ მოეწყო მუშების და გლეხების შეიარაღებული აჯანყებები.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თავის პრაქტიკულ მუშაობაში საპასუხისმგებლო პოსტებზე ამხ. ვანომ თავი იჩინა, როგორც ყველაზე მეტად შეუდრეკელმა ბოლშევიკმა, რომელიც ყოველთვის იცავდა პარტიის გენერალურ ხაზს, გადაჭრით იბრძოდა ქართული უკლონიზმის წინააღმდეგ, ტროცკიზმისა და ყოველგვარ გადახვევათა წინააღმდეგ პარტიის გენერალური ხაზიდან.

ამ სიმტკიცისათვის ჩვენ, მისი თანამებრძოლნი, და მთელი მუშათა კლასი ვაფასებდით ამხ. ვანოს და გვიყვარდა ის, როგორც ერთი ხელმძღვანელთაგანი, რომელიც გამოვიდა მუშათა რიგებიდან, გვიყვარდა, როგორც საუკეთესო მეგობარი და ამხანაგი.

კლასობრივი მტრების გააფთრებული წინააღმდეგობის დროს, როცა სწარმოებს გაშლილი სოციალისტური შეტევა მთელ ფრონტზე, ამხანაგი ვანო ჩვენთვის საჭირო იყო ისე, როგორც არასოდეს. ულმობელმა სიკვდილმა გამოგვტაცა ის ხელიდან.

ჩვენ, ბოლშევიკი ლენინელები, მოწოდებულნი არა ვართ ვღვაროთ ცრემლები და არც ამხანაგი ვანო მოგვიწონებდა ამას. ჩვენს ამოცანას შეადგენს შევცვალოთ ის და აღვზარდოთ ლენინელთა ახალი თაობანი ამხ. ვანოს გმირული ბრძოლის მაგალითებზე.

ძალიან ვწუხვარ, რომ ავადმყოფობის გამო საშუალება არა მაქვს პირადად უკანასკნელი გამოსამშვიდობელი სიტყვა უთხრა ძვირფას ვანოს.

დეე, იცოცხლოს და გამარჯვებული იყოს მუშათა შორის ამხანაგი ვანოს იდეა — მისი საყვარელი კომუნისტური პარტიის იდეა.

ლადო სუხიშვილი.

საყვარელი მეგობრისა და მებრძოლის—ვანო სტურუას ხსოვნას

სამუდამოდ შეწყდა ერთი ყველაზე უფრო მედგარი, ფოლადისებური მუშა-ბოლშევიკის ჩვენი ეპოქის ერთ-ერთი საუკეთესო ადამიანთაგანის ვანო სტურუას სიცოცხლე.

თვითეული ჩვენთაგანი, რომელიც ახლო იცნობდა ვანოს, მის ცხოვრებას, მუშაობას და ბრძოლას, ღრმა გულის ტკივილით შეხვდება ცნობას მისი სიკვდილის შესახებ. ძალიან მძიმე, განსაკუთრებით მძიმე დანაკლისია. პარტიამ დაჰკარგა რევოლიუციის ვეტერანი, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. ვანოს სახით ჩვენს რიგებს გამოაკლდა ერთი პირველთაგანი, ყველაზე უფრო პირველთაგანი... შეიძლება თამამად ითქვას, რომ მთელი მისი ცხოვრება და 45 წლის დაუდგრომელი რევოლიუციონურ-პარტიული მუშაობა გადაჯაჭვულია ამიერ-კავკასიის მუშათა რევოლიუციონურ მოძრაობის მთელ ისტორიასთან, ბოლშევიკური ორგანიზაციების მთელ ორგანიზაციასთან. თვითეული ამბავი, თვითეული მოგონება, რასაც ვანო მოგვიყვებოდა თავის თითქმის ჩახლეჩილი ხმით, ეს იყო რევოლიუციონური ბრძოლის ისტორიის ცალკე ნაკვეთი, მისი ნაწყვეტი. ეს გასაგებიც არის. ვანო 45 წელს იბრძოდა პირველ რიგებში, ის იყო ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური პარტიის ერთ-ერთი მშენებელთაგანი.

ვანოს რევოლიუციონური მუშაობის გარიჟრაჟს გადავყვებართ ჩვენ წარსული საუკუნის მე-90 წლებში, როცა ვანო ჯერ კიდევ 15-16 წლის ყმაწვილი, როცა ის მუშა-მოზარდი, ჯერ კიდევ სრულიად მოუმწიფებელი ახალგაზრდა სდგება იმ კლასის ბრძოლის ნარ-ეკლიან გზაზე, რომელსაც ის ეკუთნოდა, სდგება მთელი კაცობრიობის საუკეთესო მომავლისათვის ბრძოლის გზაზე. ეს იყო მეფის თვითმპყრობელობის შავბნელი, მოწყენილი ღამე, როცა ისეთები, როგორიც იყო ვანო, შეიძლებოდა მხოლოდ რამდენიმე ასეული გვეპოვნა მთელს უზარმაზარ რუსეთში, როცა ცალკე გმირები ხელ-ჩართულ ბრძოლაში ჩაებნენ პოლიციური წყობილების წინააღმდეგ. ეს იყო შავ-ბნელი ღამე, როცა ისეთები, როგორიც იყო ვანო, ვარსკვლავივით ანათებდნენ. ეს იყო პროლეტარიატის შეკავშირებული გამოსვლების სათავესთან, როცა ჯერ კიდევ სამჭედლოში აწრთობდნენ ფოლადს, რომლისაგანაც მოწინავე მუშების ჯგუფი ილიჩის მეთაურობით შეუდგა უდიდეს ისტორიულ საქმეს, ბოლშევიკების ფოლადისებური პარტიის გამოჭედვას. და გამოსჭედა კიდეც ფოლადისებური ბოლშევიკური პარტია. აი, ამ მუშაობაში უდევს წილი ვანოს, ისტორიული წილი, რომელიც მას არაჩვეულებრივად დიდად და ნათელ ფიგურად ხდის. აი, რატომ არის რომ ვანო ერთი უდიდესი, ჩვენი დროის ძალზე დიდი ადამიანი.

ბრძოლის რომელი იარაღი გინდა, რომ არ გეპოვნა ამ შესანიშნავი რევოლიუციონერის ბრძოლის არსენალში: მებრძოლი, ტერორისტი, პროპაგანდისტი, არალეგალური მუშაობის ტექნიკოსი, არალეგალური ლიტერატურის მბეჭდავი, მუშათა წრეებისა და უჯრედების ორგანიზატორი.

რევოლიუციონური პარტიული მუშაობის ყველა ფორმებს შეხვდები, როდესაც ათვალიერებ მის მიერ განვლილ ცხოვრების გზას. პარტიისა და პროლეტარული რევოლიუციის წინაშე ვანოს ყველა დამსახურების ჩამოთვლა შეუძლებელია, მის მთელ მუშაობას ვერ ამოსწურავს, თუნდ მეტად მოკლედ, ვერც ერთი საგაზეთო წერილი. მაგრამ არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ მისი ერთი მუშაობა, რომლის შესახებაც ამ მუდამ ახალგაზრდა, დაუვიწყარ მოხუცს განსაკუთრებული კმაყოფილებით უყვარდა ლაპარაკი. ეს იყო მუშაობა „ისკრა"-ს ბეჭდვაზე.

ამხ. ვანო „ისკრა"-ს ერთ-ერთი მბეჭდავთაგანია, სწორედ იმ ილიჩისეული „ისკრა"-სი რომლისაგანაც გაღვივდა უდიდესი [illegible]ტური რევოლიუციის ცეცხლი, [illegible] იმ ნაპერწკლისა რომელმაც დასწვა მეფისა და კაპიტალისტური წყობილება რუსეთში. სულ ამ რამდენი ხნის წინად მატარებლის ვაგონში, რომელმაც გაგვაქანა მოსკოვისაკენ ცენტრალური საკონტროლო კომისიის დეკემბრის პლენუმზე დასასწრებლად, ჩვენ ვამოკლებდით სალამოებს ვანოს მოგონებათა მოსმენით მისი წარსული მოღვაწეობის შესახებ.

მახსოვს ეს გამგზავრება. გამოღვიძების შემდეგ ვანომ შემომხედა და მითხრა: „იცი, სტეპკა, სიზმარში მე რატომღაც ვასილი ვნახე". ამის შემდეგ ის მოჰყვა გრძელ ამბავს ვასილის შესახებ. ჩემს წინ გადაიშალა მანამდე, სრულიად უცნობი ვანოს რევოლიუციონური მუშაობისა და ბრძოლის ფურცელი.

ვასილი იყო მუშა, რომელიც 90-იან წლებში ვანოსთან ერთად მუშაობდა სტამბაში. შემდეგ გამოირკვა, რომ ის იყო „ოხრანკა"-ს მიერ მიჩენილი პროვოკატორი. პარტიის გადაწყვეტილებით ვანოს დაეკისრა შესრულებინა ტერორისტული აქტი. მე გაკვირვებული, თითქოს გავშეშდით, ჩავაცქერდი მთელის ჩემის შეგნებით ვანოს ბრძნულ, მრავალი თავგადასავლითა და განცდით დასერილ სახეს, სამი საათის განმავლობაში ვუსმენდი მოთხრობას პროვოკატორის წინააღმდეგ ტეოორისტული აქტის ჩადენის შესახებ, ვებღაუჭებოდი უაღრესად საინტერესო ამბავს და ამასთან ერთად მაკვირვებდა ვანოს მეხსიერება. დღე და საათი, ამინდი, ის, თუ როგორ იყიდეს ბილეთი ვაგზალზე, თუ როგორ დაიყოლია ვასილი მასთან ერთად წასულიყო ფინეთის გზით, სადაც ვითომ რომელიღაც სადგურზე უნდა შემდგარიყო არალეგალური კრება. მთელი ეს მიმზიდავი ამბავი, რომლის დროსაც დაჭიმული იყო ნერვები, გაკვირვებდა თავისი შინაარსით, რომელშიაც ერთდაიმავე დროს სულ უფრო და უფრო მეტი ნათელი ეფინებოდა რევოლიუციის ერთგული ჯარისკაცის ვანო სტურუას მრავალმხრივ და ნათელ ფიგურას... მაგრამ მან, რომელსაც უკვე 60 წელი ჰქონდა შესრულებული, აუღელვებლად ვერ გაიხსენა ეს ისტორია. მოთხრობის დამთავრებისას მან კიდევ უფრო მეტი აღელვებით მოიგონა, თუ როგორ ჩაჰკიდა გამყიდველ არამზადას ხელი ყანყრატოში, აილო ხელი, რომელშიაც ფინური დანა ეჭირა, როგორ ევედრებოდა, მუხლებზე დაჩოქილი, ჯერ კიდევ რამდენიმე საათის წინად ამაყი, საზიზღარი ჯაშუში, რომელიც ფიქრობდა, რომ მიდიოდა ის ყველას მოსატყუებლად და გასაცემად.

„მუშათა კლასის მოღალატეების შებრალებაც შეუძლებელია, შენ იცი, თუ რისთვის უნდა იქნა მოკლული — უთხრა მას ვანომ. რამდენიმე წუთის შემდეგ პროვოკატორი უკვე მიწაში იყო ჩაფლული, ფინეთის რკინისგზის ერთ-ერთი სადგურიდან ცოტათი მოშორებით.

ვანომ დაამთავრა, ამოიოხრა და სთქვა: „ყველაფრის გაკეთება მიხდებოდა პარტიის დავალებით რევოლიუციისათვის. შავი მუშაობის შესრულებაც ხომ საჭირო იყო, როდესაც პარტია გიბრძანებდა".

ყველაფერი იმის მოგონება, რის შესახებაც ლაპარაკობდა ვანო, შეუძლებელია. არა ერთი და ორი ასეთი ეპიზოდის შესახებ უამბნია მას თავისუფალ დროს. ასობით „დანაშაული" ჩაიდინა ვანომ მეფის „კანონთა კრებულის" თვალსაზრისით ოთხნახევარი ათეული წლის თავისი მუშაობის განმავლობაში. ყველაფერი ეს ამჟამად ეკუთვნის რევოლიუციონური გმირობის ისტორიას და ცეცხლის ასოებით იქნება ჩაწერილი რევოლიუციის მატიანეში, ისევე, როგორც უკვდავი ვანოს სახელიც.

ერთი აზრი, რომ ასეთი ადამიანი დავკარგეთ, არაჩვეულო სისწრაფით მოგონებას უმატებს ახლობელ და ყველასთვის საყვარელ ვანოს შესახებ, არც კი იცი, თუ რა უნდა მოიგონო. იმას, რასაც მოგვითხრობდა თვით ვანო, შეიძლება დავუმატოთ პირადი მოგონებანი საერთო მუშაობიდან უკანასკნელი 14 წლის განმავლობაში. მახსოვს ვანო მენშევიკების დროს არალეგალურად მომუშავე, რომელსაც ფეხზე „ობმოტკა" ეხვია და თავზე კაბალახი ეხურა. ის იყო ქუთაისში, თბილისში, სადაც ახალგაზრდათა გულში აღვივებდა რევოლიუციონურ ცეცხლს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, მას შემდეგ, რაც ქართველ ბოლშევიკების ერთ ჯგუფს ღალატით გადახრა პარტიის გენერალური ხაზიდან ნაციონალ-უკლონიზმისაკენ, ჩვენ ვანოს ვხედავთ, როგორც შეურიგებელ მებრძოლს, რომელიც დაუნდობლად სწკეპლავდა უკლონისტებს. შემდეგ საკონტროლო კომისიების ორგანოთა მისი ხელმძღვანელობით 7 წლის მუშაობა, სადაც ვანო სრულიად დამსახურებულად განასახიერებდა პარტიის სინიდისს, როგორც ეს მიღებულია და ამბობენ ჩვენში. დიახ, ვანო იყო პარტიის განხორციელებული სინდისი და სინდისი მუშათა კლასის. ამ ადამიანში თავი მოეყარა ყოველივე საუკეთესოს, რაც კი აქვს პარტიასა და კლასს, ადამიანის ბუნების ყოველივე კარგს საერთოდ.

ის იყო ძალიან დიდი და ამის გამო განუზომლად მორიდებული. უბრალოება ნამდვილი, როგორც ეს ახასიათებს ნამდვილ რევოლიუციონერს. ის გამოირჩეოდა პირად ცხოვრებაშიაც; ვანო, რომელიც იყო შეურიგებელი, ყოველთვის პრინციპიალური და სასტიკი კლასობრივ ბრძოლაში, ძალიან რბილი, შეიძლება ითქვას, გულკეთილი იყო ადამიანთა დამოკიდებულებაში, ის იყო კეთილი და მოსიყვარულე. ამისათვის ის ყველას უყვარდა. მასში ძლიერ იყო განვითარებული სიყვარული და პატივისცემა ადამიანისადმი, ეს კი ბოლშევიკის განუყრელი თვისებაა. მზრუნველი და სათუთი გრძნობის მხანაგი, თავდადებული მეგობარი და რამდენი სხვა მრავალი, მხოლოდ კარგი თვისება იყო თავმოყრილი ამ მებრძოლ ადამიანში. ეს იყო განსაკუთრებული და მოჯადოებული ადამიანი. რამდენ დარიგებას, რამდენ „მამაშვილურ" რჩევას მაძლევდა მე ვანო, იმდენს, რომ პირდაპირ გიკვირდა, თუ საიდან იყო დაგროვილი ამ ადამიანში ამდენი ადამიანური გრძნობა.

უკანასკნელ გაზაფხულზე ვანოს ვხვდები ბორჯომში ამხანაგ სერგოსთან, სადაც ის ისვენებდა.

სამუდამოდ წავიდა ჩვენგან ძვირფასი, ღრმად საყვარელი და ახლობელი ვანო—ეს საკვირველი რევოლიუციონერი მუშა-ბოლშევიკი, რომელიც სულ უკანასკნელ დრომდე იყო ერთგული, შეუდრეკელი ლენინელი, ამიერ-კავკასიის ყველა ბოლშევიკებისა და მუშისათვის საყვარელი. მაგრამ მისი სიკვდილი რა არის იმ რთულ მდიდარ ცხოვრებასთან შედარებით, რომელიც სავსე იყო ბრძოლით და ნაყოფიერი მუშაობით.

ყოველივე, რაც მან გააკეთა, ყოველივე, რაც მან მისცა რევოლიუციას, შეიძლება გავანაწილოთ რამდენიმე ათეულ ადამიანს შორის და თვითეულს ხვდება იმდენი, რამდენიც საჭიროა იმისათვის, რომ მოიხადოს თავისი ვალი რევოლიუციის წინაშე. ასეთი იყო ვანო.

ჩვენ ყველანი, რომლებიც განვაგრძობთ ბრძოლას ლენინის საქმისათვის, იმ საქმისათვის, რომელსაც ვანომ შესწირა მთელი თავისი სიცოცხლე, სულ უკანასკნელ წუთამდე, უნდა ვცდილობდეთ დავემსგავსოთ ვანოს. „იყავით ისეთები, როგორიც იყო ვანო, მაშინ თქვენ იქნებით ღირსეული ლენინელები" — ასე უნდა ვუთხრათ ჩვენ ყველა მუშას, ყველა კომუნისტს, კომკავშირელს, მთელ მოზარდ თაობას, ახალ ნორჩ ყლორტებს.

მოხუცი ვანო განაგრძობდა დარჩენილიყო ახალგაზრდა. ეს იმიტომ, რომ მთელი მისი ბუნება გაჟღენთილი იყო რევოლიუციონური სიფხიზლით, ბოლშევიკური ფხიზელი სულით. ამ სიფხიზლით, როგორც ყოველთვის, ბოლშევიკების რკინის კოჰორტა წავა წინ ახალ გამარჯვებათა გზით კლასობრივ ბრძოლებში საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციისათვის. საუკეთესო ძეგლად ვანოს ახალ საფლავზე იქნება ჩვენი წარმატებანი, ჩვენი მიღწევები, ჩვენი ბრძოლა, ჩვენი მუშაობა, საუკეთესო ძეგლი — ეს იქნება ხუთწლიანი გეგმის მესამე გადამწყვეტი წლის ამოცანათა წარმატებით შესრულება, სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აგების ძლევამოსილად დამთავრება, ბრძოლა მთელი ოპორტუნიზმის წინააღმდეგ, ბრძოლა კომუნიზმისათვის.

ახალი ქარხნები და ფაბრიკები, ახალი ელექტრო-სადგურები, სოციალისტური ინდუსტრიის ახალი გიგანტები, საბჭოთა ქარხნების ტრაქტორები, რომლებიც გადააბრუნებენ მინდვრებს, რომ იქ იხაროს ბოლშევიკურმა ნათესმა, ყოველივე, რისგანაც იქმნება მთელი ცხოვრების სოციალისტურად გარდაქმნის ჩვენი ბრძოლის ეპოქა, აი, რა ახარებდა ვანოს, აი, რა ახალისებდა მას. ყოველივე ეს კიდევ უფრო მეტი იქნება, სოციალისტური მშენებლობის გამძაფრებული ტემპების საშუალებით შეიქმნება ისტორიისათვის არნახული კომუნისტური საზოგადოება. მხოლოდ გული გვიკვდება და სწუხარ, რომ ჩვენთან ერთად ამ შრომას არ განაგრძობს ძვირფასი ვანო.

ისეთები, როგორიც იყო ვანო, ძველი გვარდიიდან ცოტა-ღა დარჩა. ჩვენი მოვალეობაა—ჯერ არ ნახული მუშაობის დროს, რომელსაც ჩვენ ვეწევით, არა თუ არ დავივიწყოთ ძველი ლენინური გვარდია, არამედ გავაძლიეროთ ყურადღება და მზრუნველობა ამ გვარდიისადმი, რომლის საუკეთესო წარმომადგენელი იყო დაუვიწყარი ვანო.

სტ. ვარდანიანი (როზინი).

ამხ. ვანო

ამხ. ვანოს სახელს ყველგან იცნობენ — საქართველოში, ამიერ-კავკასიაში, მთელ კავშირში. მას იცნობს პიონერების ნაწილი, იცნობს მოწინავე კომკავშირი, იცნობს მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა, განსაკუთრებით კარგად იცნობს მას ძველი ბოლშევიკური გვარდია.

ვანოს იცნობენ არა მარტო მისი მეგობრები, არამედ პროლეტარიატის დიქტატურის მტრებიც. შემთხვევითია თუ არა, რომ ვანოს სახელს ყველა იცნობს? არ არის შემთხვევითი, ვინაიდან მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობისათვის — მშრომელთა და ჩაგრულთათვის — ვანო წარმოადგენდა თავდადებულ, ერთგულ მეგობარს, რომელიც მუდამ მზად იყო ყოველგვარი მსხვერპლი გაეღო თავისი კლასის ინტერესებისათვის, მუშათა კლასის მტრებზე მშრომელთა გამარჯვების ინტერესებისათვის. ამიტომ ვანოს სახელს იცნობდნენ მისი მეგობრები, როგორც საყვარელ, თავდადებულ მეგობრის და ამხანაგის სახელს.

ხოლო როგორ იცნობდნენ მას პროლეტარიატის დიქტატურის მტრები? იცნობდნენ, როგორც ჯერ კიდევ სიყმაწვილიდანვე მათ შეურიგებელ მტერს. ვანომ არ იცოდა, თუ რა იყო შიში მუშათა კლასის მტრებთან ბრძოლაში, რისთვისაც ვანო არა ერთხელ მჯდარა მეფის და შემდეგ მენშევიკების ციხეებში და არა ერთხელ გადაუსახლებიათ შორეულ ჩრდილოეთში, საიდანაც ყოველთვის წარმატებით გაქცეულა, რათა მუშათა კლასი კვლავ და კვლავ აემხედრებია ცარიზმთან საბრძოლველად.

ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ვანოს სახელს ერთნი თავიანთ თვალთან თავიანთი მეგობრის სინონიმად, ხოლო მეორენი — მუშათა კლასის მტრები — თავიანთი მტრის სინონიმად.

ვანომ ასეთი სახელი დაიმსახურა იმით, რომ ის ჯერ კიდევ 1896 წლიდან ყოველთვის თავდადებულად იბრძოდა ძველი ბოლშევიკური რაზმის მოწინავე რიგებში მუშათა კლასის გამარჯვებისათვის, კომუნიზმისათვის.

მაგრამ ვანოსათვის არა მარტო ეს იყო დამახასიათებელი. ამასთან დაკავშირებულია მისი სხვა თვისებაც: კომუნიზმის საქმისათვის სავსებით თავდადებული, როგორც დარწმუნებული, შეგნებული, მოწინავე მუშა, გამოსული გლეხთა ულარიბესი წრიდან, — ის უაღრესად გულთბილ დამოკიდებულებას იჩენდა კლასობრივად თავის ელემენტების მიმართ, რომ არაფერი ვთქვათ მუშათა კლასის საქმისათვის თავის უშუალო თანამებრძოლ ამხანაგებთან ურთიერთობაზე. ვანო ყოველთვის ზრუნავდა ამხანაგების საჭიროებაზე, რაღაც მორალურ ტანჯვას განიცდიდა განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი საჭიროდ სთვლიდა ამა თუ იმ გაჭირვებულ მუშისა და გლეხისათვის დახმარების აღმოჩენას, მაგრამ ამას ამა თუ იმ მიზეზით ვერ ახერხებდა. ვანო არამც თუ თვითონ ზრუნავდა გაჭირვებულებზე, არამედ ის ახერხებდა, რათა სხვებსაც ეზრუნათ მათზე. ამიტომაც ის თავის ვანოთ მიაჩნდათ.

ვანოს ჩემთვის არა ერთხელ უთქვამს: „საშინლად მაშფოთებენ ისინი, რომელთაც შეუძლიათ დახმარება აღმოუჩინონ გაჭირვებულს, მაგრამ ყურებს არ აპარტყუნებენ"-ო, და ამას ის ამბობდა არა განყენებულად, არამედ კონკრეტულ ფაქტებთან დაკავშირებით.

ვანოს ახასიათებდა კიდევ ერთი იშვიათი თვისებურება. ის გრძნობდა რა თავის უსაზღვრო ერთგულებას მუშათა კლასის საქმისადმი, განსაკუთრებით ცდილობდა გავლენა მოეხდინა სხვებზედაც, რათა ისინი თავის მსგავსნი გაეხადა, ვინაიდან მშვენივრად ესმოდა, რომ ეს საჭიროა კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

ხოლო ვინ არ იცნობს ვანოს თავმდაბლობას, რომელიც ზოგჯერ მორცხვობამდეც მიდიოდა. საკმარისია გადავხედოთ მის ავტობიოგრაფიას, რომ ამაში დავრწმუნდეთ — ის იქ არ იხსენიებს თავის საინტერესო და რევოლიუციონური შინაარსით მდიდარი ცხოვრების მთელ ეპიზოდებს და პერიოდებსაც კი.

ყოველივე ამით და მრავალი სხვა დადებითი თვისებებით ის ბევრს ხიბლავდა და მათ შორის მეც.

ვანო ჩემი პირველი და უშუალო მასწავლებელია. ის ჩემთვის მაგალითი იყო მთელს ჩემს მოქმედებაში და ვაღვიარებ, რომ ბევრით ვარ მისგან დავალებული.

დღეს ის აღარ არის. უკვე ვერ ვახილავთ ჩვენს ძვირფას ვანოს, რომელიც მუშათა კლასის საქმისათვის 35 წლის მანძილზე გმირულ რევოლიუციონურ ბრძოლას აწარმოებდა.

დღეს მე ვერ შევეხები მის ავტობიოგრაფიას. ამას სხვები იზამენ. მაგრამ ვიტყვი, რომ ვანოს სახით კომუნისტურმა პარტიამ დაკარგა მტკიცე ბოლშევიკ-ლენინელი, რომელიც ღირსეულად უდგა სათავეში საქ. კ.პ. (ბ) ა.-კ. საკონტროლო კომისიის პარტკოლეგიას — მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებისათვის მებრძოლ ორგანოს, რომელიც შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდა საკ. კ.პ. (ბ) გენერალური ხაზისათვის. ჩვენ, მისი დარჩენილი მეგობრები, ძვირფას ვანოს ვაძლევთ ბოლშევიკის სიტყვას, რომ ბოლომდე მივიყვანთ იმ საქმეს, რომლისათვისაც იგი იბრძოდა.

ძვირფასო ვანო, ჩვენ მოვიკრებთ მთელ ჩვენ ძალღონეს, გავაათკეცებთ ბოლშევიკურ ენერგიას და ჩვენ, შენი ამხანაგები, რომელნიც დღეს გეთხოვებით, ვიბრძოლებთ კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის.

შენი მოყვარული ერთგული ამხანაგი, მეგობარი და ძმა

გიორგი სტურუა.

ვანო მოგვშორდა

ვანომაც მიგვატოვა, დაგვაობლა. კიდევ ერთი ბრძოლაში გამობრძმედილი ლენინელი გამოგვაკლდა.

საქართველოში, ამიერ-კავკასიაში ვის არ გაუგონია ვანო სტურუა? მაგრამ ბევრმა არ იცის, თუ რა სამსახური და ღვაწლი მიუძღვის ამხ. ვანოს პარტიის და რევოლიუციის წინაშე.

ვინ იყო ვანო?

განა შეიძლება ამ კითხვაზე მოკლე პასუხის გაცემა? ვანოს ისტორიის აწერა ჩვენი მუშათა მოძრაობის, ჩვენი პარტიის ისტორიის აღწერა იქნებოდა. ვანო სტურუა ჩვენი ქვეყნის ვეიტლინგი, ბებელი არის. ვანო სტურუა იმ მოწინავე, ხელმძღვანელ პროლეტართაგანია, რომლის შექმნაზე, აღზრდაზე თავიდანვე თავგამოდებით იბრძოდა ლენინი.

ჩვენ შევქმნით ჩვენს ვეიტლინგებს, ჩვენს ბებელებს დაჟინებით იმეორებდა ლენინი „ეკონომისტების" წინააღმდეგ თავის წიგნში „რა ვაკეთოთ"-ში.

ისტორიამ სავსებით გაამართლა ლენინი.

ვანო სტურუები ჩვენი ქვეყნის ბებელებია. ვანო სტურუების ზურგზე გადავიდა ჩვენი პარტიის შექმნის და განვითარების ისტორია.

ვანო სტურუა იმ დროის ჩაუდგა ბოლშევიკურ მოძრაობას სათავეში, როცა ბოლშევიკები თითზე ჩამოსათვლელი იყვნენ, განსაკუთრებით ამიერ-კავკასიაში და საქართველოში, როცა ბოლშევიკურ იდეას მეტად მცირე რიცხვი მუშები ინაწილებდა.

ვანო ჩვენი პარტიის დაბადების სათავეში იყო, მან მცირერიცხოვან ამხანაგებთან ერთად, პირველად წაურწყა აკვანი ჩვენს ნორჩ, ახალგაზრდა პარტიას. თვითონ ვანოც მაშინ ნორჩი ახალგაზრდა იყო, მერე ჩვენი პარტია გაიზარდა, სისხლხორცით შეისხა, დავაჟკაცდა, ვანოც გაიზარდა თავის პარტიასთან ერთად. დღეს ჩვენი პარტია დიდია, ერთი კარგი ნაწილი ძველი კაპიტალისტური ქვეყნისა დაანგრია და ახალ სოციალისტურ ცხოვრებას აშენებს.

დღეს ჩვენი პარტია გიგანტიურია, გიგანტიური ამოცანები აქვს დასახული, მას ანგარიშს უწევს მთელი მსოფლიოს ბურჟუაზია. დღეს ჩვენი პარტია მაგნიტისებური მიმზიდველი ძალაა ყველა დაჩაგრულ და გაყვლეფილებისა, მას ალტაცებით და იმედებით შეჰყურებს მთელი მსოფლიოს მშრომელი მასები.

ვანოც ჩვენ პარტიასთან ერთად გაიზარდა, პარტიის დავალებით მეტად საპასუხისმგებლო დავალებებს ასრულებს სხვადასხვა დარგში.

ვანო დაილია, დადნა სამუშაოზე, კრებიდან დაბრუნდა სახლში და მისი გულის ცემა სამუდამოდ შეწყდა.

მშვიდობით მეგობარო, თანამებრძოლო შეუდრეკელო — ვანო. შენი მაგალითი, შენი დაუშრეტელი ენერგია სამაგალითოდ დარჩება ჩვენთვის.

მელიტონ ფილია.

ამხ. ვანოს ხსოვნას

წავიდა ჩვენგან სოციალიზმის საქმისათვის თავდადებული ძველი ბოლშევიკი. უეცარმა სიკვდილმა გამოსტაცა ბოლშევიკური გვარდიის რიგებს მუდამ მოქმედი, ცოცხალი, შეუდრეკელი მებრძოლი პარტიის გენერალური ხაზისათვის, სოციალიზმის გამარჯვებისათვის ამხ. ვანო. სისხლიანი მეფის ვერც სატუსაღომ, ვერც გადასახლებამ და ვერც რკინის ნებისყოფის მტეხებმა. მუშათა კლასის მენშევიკების რეპრესიებმა ვერ შესძლეს მისი მოწინავე რიგებში ამხ. ვანო იბრძოდა რეაქციის ყველაზე უფრო შავბნელ წლებში პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვებისათვის. გვაგონდება მისი მუშაობისა და ბრძოლის უამრავი ფაქტი.

1900 წელს, მუშათა მოძრაობის გარიჟრაჟზე, ამხ. ვანო მიუძღვის მასებს ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლებში. 1900 წლის 1 იანვარს თბილისის ტრამვაიზე ამხ. ვანოს ინიციატივითა და მისი ხელმძღვანელობით ბრწყინვალედ ჩატარებულმა გაფიცვამ დიდი ხნით დაუფრთხო მყუდროება მეფის ჟანდარმერიას. მთელი დღეებით დაძრწოდნენ ჟანდარმები ხელმძღვანელის დასაჭერად, რომელიც განაგრძობდა თავის დაუცხრომელ რევოლიუციონურ მუშაობას. რამდენიმე თვის შემდეგ მან უკვე თავი ამოჰყო ბაქოში და 1902 წელს პარტიის მიერ მოწყობილ საპროტესტო დემონსტრაციაზე აღმართა წითელი დროშა — ქუჩაში გამოსვლის ნიშანი. ამხ. კრასინთან ერთად ვანო მონაწილეობას იღებდა ბაქოს ყველა არალეგალური სტამბების მოწყობაში. მისი დაუცხრომელი ენერგია იტაცებდა და აღფრთოვანებას ჰგვრიდა ყველა ამხანაგებს. ხშირად, მისი დაჟინებული მოთხოვნით, ბევრი მუშაკი, რომელიც ხელს ჰკიდებდა მისთვის სრულიად უცნობ სამუშაოს, ადვილად ერკვეოდა ამ უკანასკნელში და ამით უზრუნველყოფილი ხდებოდა არალეგალური სტამბების წარმატებით მუშაობა.

მუშაობაში ამხ. ვანო შეუდრეკელი იყო როგორც თავის თავის, ისე სხვების მიმართ. მან არ იცოდა არავითარი გადახვევა დასახული მიზნიდან. ამავე დროს ის იყო საუცხოო აგიტატორი, რომელსაც უდიდესი პოპულარობა და სიყვარული ჰქონდა დამსახურებული მუშებს შორის. განსაკუთრებით უყვარდა იგი ახალგაზრდობას. თავისი სიმღერებით ამხ. ვანოს მძიმე წუთებში აღფრთოვანებაში მოჰყავდა მასთან ერთად მომუშავე ამხანაგები.

ცარიზმის მიერ გაუტეხელ ამ ენერგიას, სიხალისეს, დაუღალავობას მუშაობაში და გამბედაობას ბრძოლაში პარტიის მტრების წინააღმდეგ ამხ. ვანო სოციალიზმის მშენებლობის წლებშიაც იჩენდა. როგორც შეუდრეკელი ბოლშევიკი, ის დაუნდობლად ააშკარავებდა და გადაჭრით იბრძოდა ყველა ჯურის გადახრების წინააღმდეგ ლენინის ხაზიდან.

დიდად საპასუხისმგებლო პარტიულ თანამდებობაზე მუშაობის დროს ამხ. ვანო, დაუნდობელი უკლონისტების მიმართ, განსაკუთრებული ამხანაგური მიდგომით ეხმარებოდა მუშაობაში ყოველ ბოლშევიკს, უსწორებდა მას შეცდომებს და აყენებდა სწორ ლენინურ გზაზე.

მშვიდობით, ძვირფასო ვანო!

ჩვენ, დარჩენილები, მთელ პარტიასთან ერთად, განვაგრძობთ იმ საქმეს, რომლისათვისაც შენ იბრძოდი მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

ძველი ბოლშევიკების ჯგუფი:
გ. რთველაძე, მ. კვარაცხელია, ს. მასხულია, გ. კუჭაიძე, გ. მაჩაიძე, ს. ბარიშვილი.

აღარ გვყავს ჩვენი ვანო

„ჩვენი ვანო"-ს უძახდნენ მას არა მარტო საქართველოში, ძველ ბოლშევიკთა შორის, არამედ სხვა ძმურ რესპუბლიკებშიაც.

როდესაც მე ამ სტრიქონებს ვწერ, ვერ წარმომიდგენია, კიდევ არ მჯერავს, რომ მართლაც ამხ. ვანოს შესახებ ვწერ ამ წერილს. ვინაიდან მისი გარდაცვალებამდე ორი-სამი საათის წინ მქონდა მასთან საუბარი და ძველი ბოლშევიკთა საზოგადოების ბიუროს სახელით (თვით ბიუროს წევრი იყო) მივეცი დავალება მოსკოვში, სადაც ის მიემგზავრებოდა, როგორც ა.-კ. ც. ს. კ. პარტ. კოლეგიის მდივანი პარტკოლეგიების მდივნების თათბირზე, რომელიც მოწვეულია ა.-წ. 20 აპრილს. ამის შემდეგ მე მომიხდა კახეთში გამგზავრება სამსახურის გამო და მეორე დღეს შემთხვევით ერთი ამხანაგი მაწოდებს გაზეთს, სადაც ვკითხულობ ამხ. ვანოს უეცრად გარდაცვალების შესახებ. უეცრად ხელიდან გამოგვეცალა ჩვენი ძველი გვარდიის ვეტერანთაგანი, სეტაკი და ყველა ამხანაგებისათვის საყვარელი ადამიანი.

თუმცა ამხ. ვანოს მეტად საპასუხისმგებლო პოსტი ეჭირა, მაგრამ მას ვერავინ შეამჩნევდა, რომ ის იყო რამე თანამდებობის პირი, არა, ის იყო უბრალო, ყველასათვის ტკბილი ამხანაგი, რჩევა-დარიგების მიმცემი, მაგრამ ლახვარი საბჭოთა ხელისუფლების მტრისათვის, ნამდვილი ლენინელი.

ამხ. ვანოს ბიოგრაფია, მისი წარსული და უკანასკნელამდე მისი ყოფა-ცხოვრება უნდა შეისწავლოს ახალგაზრდობამ და მისი მაგალითით აღიზარდოს ჩვენი მომავალი თაობა. მშვიდობით ძვირფასო ამხანაგო და საუკეთესო მეგობარო ვანო.

სერგო მეგრელიშვილი.

მშვიდობით ჩვენო ძვირფასო ამხ. ვანო

დღეს ვაბარებთ მიწას მუდამ დაუღალავ ძველ ბოლშევიკ ლენინელს ამხ. ვანოს, რევოლიუციისათვის თავ-დადებულს და მამაცს სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

ამხ. ვანო! შენი ენერგია ვერ გასტეხა ვერც ციხემ, ვერც სიმშილმა, ვერც ციმბირმა. შენ დარჩი დაუღალავი და ახალგაზრდული ენერგიით სავსე სიკვდილამდე. შენ იყავ ყველა ბოლშევიკ ამხანაგების მოყვარული, შენც დაიმსახურე დიდი სიყვარული, ყველასაგან ვინც კი გიცნობდა—და ვისაც შენთან ქონდა რაიმე დამოკიდებულება.

პარტიამ შენი სახით დაჰკარგა ერთად-ერთი საუკეთესო და დაუფასებელი წევრი. შენ მოკვდი, ვანო მაგრამ შენი ხსოვნა, შენი სახელი და შენი პატივისცემა დარჩება ყველა ამხანაგების გულში.

მშვიდობით ამხ. ვანო! იმ საქმეს, რომელსაც შენ თავდადებული რამოდენიმე ათეული წლებში ემსახურებოდი, ჩვენც დაუღალავად და იმ ენერგიით, როგორითაც შენ, განვაგრძობთ საბოლოო გამარჯვებამდე.

მშვიდობით ჩვენო უძვირფასესო ამხ. ვანო!

დ. კილაძე.

ამიერ-კავკასიის ყველა მშრომელებს

ა.-წ. 13 აპრილს გარდაიცვალა ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმის წევრი ამხ. ვანო სტურუა. ამხ. ვანო სტურუას სახით ამიერ-კავკასიის მშრომელებმა დაჰკარგეს რევოლიუციის ვეტერანი, მუშათა კლასის საქმისათვის უშიშარი მებრძოლი.

ამხ. ვანო სტურუა თავისი შეგნებული ცხოვრების პირველ დღეებიდანვე რევოლიუციონური პროლეტარიატის პირველ რიგებში იდგა.

თვითმპყრობელობასთან ბრძოლის მრავალი წლის განმავლობაში, არალეგალური მუშაობის უაღრესად მძიმე პირობებში, ვანომ გამოსჭედა თავისი ურყევი ნებისყოფა რევოლიუციონერის გაბედულობა და უშიშროება, პროლეტარიატის საქმისადმი თავდადებული ერთგულობა.

ვანო, რომელიც იმყოფებოდა ამიერ-კავკასიის პროლეტარიატის მოწინავე რაზმის, ბაქოს მრავალერიანი მუშების წრეში, გახდა ლენინური პარტიის პოლიტიკის ნამდვილ და მტკიცე გამტარებლად. ვანო ყოველთვის წარმოადგენდა თავდადებული ბოლშევიკური მუშაობის მაგალითს.

ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმი ყველა მშრომელებთან ერთად მწუხარებას გამოსთქვამს დაუვიწყარ ვანოს დაკარგვის გამო.

მებრძოლ-ბოლშევიკის, ძვირფასი ვანოს ხსოვნა მუდამ დარჩება ყველა მშრომელთა გულში. ამ ხსოვნის საუკეთესო საწინდარი იქნება ყველა მშრომელთა უფრო ენერგიული მუშაობა პროლეტარიატის საქმის გამარჯვებისათვის, სოციალიზმის საქმის გამარჯვებისათვის.

ა.-კ. ცაკის თავმჯდომარე
გ. მუსაბეკოვი.
ა.-კ. ცაკის მდივანი
გ. სულთანოვი.

სამოქალაქო პანაშვიდი

გუშინ, საღამოს, ამხ. ვანო სტურუას კუბოსთან შესდგა მეორე სამოქალაქო პანაშვიდი. დარბაზი, სადაც დასვენებულია ცხედარი, გაჭედილი იყო მუშებით და განსვენებულის თანამებრძოლებით.

საპატიო ყარაულებად ერთმანეთს სცვლიდნენ ძველი გამობრძმედილი ბოლშევიკები ლენინის გვარდიელები.

მშრომელთა განუწყვეტელი ტალღა მთელი დღის განმავლობაში განაგრძობდა სვლას დიდი მებრძოლის კუბოსთან.

სამოქალაქო პანაშვიდის დროს უკრავდა სიმებიანი ორკესტრი.

სამძიმრის დეპეშები

ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმისაგან

ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმი თავის ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამს გამობრძმედილი რევოლიუციონერის, დაუღალავი მებრძოლის და მუშათა კლასის ინტერესებისათვის თავდადებული მებრძოლის ამხ. ვანო სტურუას დაკარგვის გამო.

ძვირფასი ვანოს დაკარგვამ კიდევ უფრო უნდა შეამჭიდროოს ამიერ-კავკასიის მშრომელთა რიგები, იმ უდიდეს ამოცანათა შესასრულებლად, რომლებიც დღის წესრიგში დააყენა ჩვენმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ.

ა.-კ. ცაკის თავმჯდომარე:
გ. მუსაბეკოვი.
ა.-კ. ცაკის მდივანი **გ. სულთანოვი.**

—:—

აზერბაიჯანის კ.პ. (ბ) ცენტ. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმისაგან

აზერბაიჯანის კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმი აზერბაიჯანის პროლეტარიატთან და აზერბაიჯანის ბოლშევიკებთან ერთად ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამს ძველი ბოლშევიკური გვარდიის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენლის ამხ. ვანო სტურუას მოულოდნელად გარდაცვალების გამო. ვანო სტურუას, რომელიც დაიფერფლა რევოლიუციონურ პოსტზე და თავისი ცხოვრება შესწირა სოციალიზმის მშენებლობის საქმეს. შევამჭიდროვოთ ამიერ-კავკასიის ბოლშევიკთა ფოლადისებური რიგები ამხანაგ ვანოს საფლავზე და კიდევ უფრო ენერგიულად გავშალოთ ბრძოლა ლენინური პარტიის გენერალური ხაზის განსახორციელებლად, რომლისთვისაც, მთელ თავის სიცოცხლეში იბრძოდა ამხ. ვანო.

აზერბ. კ.პ. (ბ) ცენტრ. საკონტრ. კომისიის პრეზიდიუმი.

—:—

აზერბაიჯანის თავდაცვა-ავიაქიმის საბჭოს პრეზიდიუმისაგან

აზერბაიჯანის თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი მწუხარებით აღნიშნავს ძველი ბოლშევიკი—ლენინელის, სოციალიზმისათვის შეუდრეკელი მებრძოლის, ძვირფასი ამხანაგის—ვანო სტურუას უდროოდ დაკარგვას. უძველეს აქტივისტს და თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციის მუშაობის ხელმძღვანელს ამხ. ვანოს უდიდესი დამსახურება მიუძღვის საბჭოთა კავშირის თავდაცვის განმტკიცების საქმეში. ამხ. ვანოს სახით თავდაცვა-ავიაქიმის ამიერ-კავკასიის ორგანიზაციამ დაჰკარგა ერთ-ერთი მოწინავე მებრძოლი სოციალიზმის საქმისათვის. აზერბაიჯანის თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს 150 ათას წევრს, აცხადებს, რომ იგი დაასრულებს დაუვიწყარი ხელმძღვანელის ამხ. სტურუას მიერ დაწყებულ საქმეს, კიდევ უფრო მჭიდროთ გაერთიანდება პარტიის გენერალური ხაზის გარშემო ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესასრულებლად, რაც საუკეთესო ხსოვნა იქნება ჩვენი რიგებიდან წასულ ბოლშევიკ-ლენინელის ვანო სტურუასათვის.

აზერბაიჯანის თავდაცვა-ავიაქიმის პრეზიდიუმი.

—:—

ბაქოს ძველ ბოლშევიკთა საზოგადოებისაგან

თქვენთან ერთად ვგლოვობთ ძვირფასი ვანოს დაკარგვას. ამხ. ვანოს დაკარგვა ბაქოს ძველ ბოლშევიკთა საზოგადოებისათვის უფრო საგრძნობია, რადგან მასთან ერთად მთელი ათი წლების განმავლობაში, ჩვენ მოგვიხდა გვეწარმოებია მძიმე, მაგრამ სახელოვანი ბრძოლა პროლეტარიატის დიქტატურისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის. თქვენ უნდა განუგეშოთ, იმ გარემოებამ, რომ საქმე, რომლისთვისაც იბრძოდა ამხ. ვანო თავის სიცოცხლის მთელ მანძილზე უკვე განხორციელებულია და ეს საქმე ჩაბარებული აქვს ბოლშევიკების სახელოვან პარტიას.

ბაქოს ძველ ბოლშევიკთა საზოგადოება.

—:—

აფხაზეთის საოლქო კომიტეტისაგან

დიდად დაგვაღონა უძველესი ბოლშევიკის, საუკეთესო ამხანაგის ვანო სტურუას სიკვდილმა. დანაკლისს შევავსებთ ჩვენი რიგების შემჭიდროებით გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში და ამ შემთხვევაში მივბაძავთ ენტუზიასტს, პარტიის გენერალური ხაზისთვის შეურიგებელ მებრძოლს ვანო სტურუას.

აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი
ლადარია.

—:—

აჭარისტანის საოლქო საკონტროლო კომისიისაგან

აჭარისტანის საოლქო საკონტროლო კომისია — მუშგლეხინი, ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამს, ძვირფას ამხანაგის, ძველი ბოლშევიკი — ლენინელის, საკ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის პარტკოლეგიის მდივნის და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიის წევრის ამხ. ვანო სტურუას გარდაცვალების გამო.

საოლქო საკ. კომისიის — მუშგლეხინის თავმჯდომარე **სურგულაძე.**

—:—

ხონიდან. ხონის რაიონის პარტორგანიზაცია ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს ძველი ბოლშევიკის, მტკიცე ლენინელის და საუკეთესო ამხანაგის ვანო სტურუას გარდაცვალების გამო.

ზესტაფონიდან. ზესტაფონის რაიკომი, რაიონული საკონტროლო კომისია და სარაიონო აღმასკომი მწუხარებას გამოსთქვამს ძველი ბოლშევიკის ამხ. ვანო სტურუას გარდაცვალების გამო.

სამტრედიიდან. სამტრედიის პედაგოგიური ტეხნიკუმი უერთდება მუშათა კლასის მწუხარებას მებრძოლ ბოლშევიკის ამხ. ვანო სტურუას გარდაცვალების გამო.

—:—

კავკავის მუშებისაგან

საქართველოს სამხედრო გზატკეცილის სამშენებლო კანტორის მუშა-მოსამსახურეები და არტელ „მარდი"-ს წევრები ცხარე ცრემლით დავსტირით მუშათა ოჯახის მოამაგის ამხ. ვანოს ცხედარს. მშრომელთა საერთო მწუხარებას უერთებთ საკუთარ გლოვას არტელ „მარდის" საპატიო ხელმძღვანელის და გამობრძმედილი რევოლიუციონერის ამხ. ვანოს დაკარგვის გამო.

კულაშის მასწავლებლებისაგან

კულაშის შვიდწლედის მასწავლებლობა ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამს ძველი ბოლშევიკის ამხ. ვანო სტურუას გარდაცვალების გამო.

მოსკოვიდან. ღრმად დამამწუხრა ამხ. ვანოს უდროოდ სიკვდილმა. უცხადებ ჩემს თანაგრძნობას ვანოს ახლობლებს და მის ოჯახს.

ლადო ლომინაძე.

კულაშიდან. ღრმა მწუხარებას გამოსთქვამთ ამხ. ვანოს უეცრად გარდაცვალების გამო.

იუდა გურულაშვილი.

მოსკოვიდან. უაღრესად დამამწუხრა უფროსი მეგობრის, საყვარელი ამხანაგის და ყოველთვის მხნე ბოლშევიკის — ამხ. ვანოს გარდაცვალების ამბავმა. ვსწუხვარ, რომ დაკრძალვას პირადად ვერ ვესწრები.

იასონ მამულია.

სოხუმიდან. ულრმეს მწუხარებას გამოვსთქვამთ ჩვენი უძვირფასესი მეგობრის უხუცესი ბოლშევიკის ვანოს დაკარგვის გამო.

ლადარია, დამენია, წითლიძე და საუყარულიძე.

კავკავიდან. საუკეთესო მებრძოლი, ძველი ბოლშევიკი, დაჩაგრულ ხალხთა მეგობარი, ამხ. ვანო აღარ არის ჩვენს შორის. მშრომელთა მწუხარებას ვუერთებ ჩემს თანაგრძნობას ასეთი დიდი დანაკლისის გამო.

კოკი მიქელაძე.

საგარეჯოდან. ღრმა მწუხარებას გამოვსთქვამთ ძველი ბოლშევიკის, რევოლიუციისათვის თავდადებულ მებრძოლის ამხ. ვანო სტურუას გარდაცვალების გამო.

მართა შარაშიძე და ტყაბლაძე.

ფოთის მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა საბჭო, ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამს ძველი ბოლშევიკის და მუშათა კლასის საკეთილდღეოდ მებრძოლის, სოციალიზმისათვის თავდადებული მოღვაწის ამხ. ვანო სტურუას დაკარგვის გამო. საბჭო გლოვობს აგრეთვე ჩვენი მშენებლობის ერთგული მოამაგის ამხ. ანდრია კაციტაძის გარდაცვალებას.

ფოთის ქალაქის საბჭო.

თელავის პარტიული ორგანიზაცია მწუხარებას გამოსთქვამს ძველი ბოლშევიკის ამხ. ვანოს სტურუას დაკარგვის გამო.

პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისთვის საუკეთესო მებრძოლის, ძველი ბოლშევიკის, ამხანაგის და კარგ ადამიანის ამხანაგ ვანო სტურუას დაკარგვას ვწუხვართ მისი პატივისმცემელი ამხანაგები—ბოლშევიკები: **ვასო ანთიძე, რაჟდენ ცირეკიძე, ბიტოლი ლეჟავა, ალექსანდრე ვაშაძე.**

კულაშის ღარიბკომთან არსებული სამკერვალო არტელი მწუხარებას გამოსთქვამს ამხ. ვანოს უეცრად გარდაცვალების გამო.

კულაშის მცხოვრები შალომ მიხეილის-ძე მოძღვრიშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს მშრომელ ებრაელთა მოამაგის თავდადებულ ამხანაგის ამხ. ვანოს გარდაცვალების გამო.

—:—

კულაშის ღარიბკომთან არსებული საწარმოო კომკავშირის უჯრედი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს ძვირფასი ამხანაგის ვანო სტურუას გარდაცვალების გამო.

კულაშის ღარიბკომთან არსებული ამხ. ვანო სტურუას სახელობის მეჩექმეთა არტელი ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამს ძვირფასი და საყვარელი ამხ. ვანო სტურუას გარდაცვალების გამო.

კულაშის ღარიბკომი ღარიბ ებრაელთა სახელით ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს მშრომელთა მოამაგის დაუვიწყარ ამხ. ვანოს გარდაცვალების გამო.

უსაზღვროდ დაგვამწუხრა რევოლიუციის ვეტერანის, საუკეთესო მასწავლებლის იშვიათი ადამიანის, უსაყვარლეს მეგობრის ამხანაგ ვანოს სტურუას უდროოდ სიკვდილმა.

სერაპიონ ლომიძე, გრიშა ჟანტურია, მაკარი გედია.

ამხ. ვ. სტურუას ოჯახს

გიცხადებთ თანაგრძნობას და ულრმეს მწუხარებას გამოვსთქვამთ ამხ. ვანოს გარდაცვალების გამო.

აზერბ. კ.პ. (ბ) ცენტრ. საკონტრ. კომისიის პრეზიდიუმი.

ა.კ.ს.ფ.ს. რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი ულრმეს თანაგრძნობას გიცხადებთ გამობრძმედილი რევოლიუციონერის—ბოლშევიკის ამხ. ვანო სტურუას გარდაცვალების გამო, რაც უდიდესი დანაკლისია არა მარტო თქვენთვის, არამედ აგრეთვე მთელი ამიერ-კავკასიის მშრომელთათვის.

ა.კ.ს.ფ.ს.რ. მიწათმოქმედების სახკომისარი: **ვეზიროვი.**

ვიზიარებ მწუხარებას თქვენთან ერთად. დიდათ დამაღონა ამხ. ვანოს უდროოდ გარდაცვალებამ.

ჯალა ეფენდიევი.

მოსკოვიდან. უაღრესად დამწუხრებული ვარ მუდამ მხნე, ენერგიული და მუშათა კლასის საქმისთვის თავდადებული ამხ. ვანო სტურუას მოულოდნელად გარდაცვალებით. ჩვენ დავკარგეთ ბოლშევიკთა ძველი გვარდიის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი.

რუბენი.

სოხუმიდან. უდიდესი მწუხარება გამოიწვია ჩვენში ცნობამ ძვირფასი ამხანაგის ვანოს გარდაცვალების შესახებ. ულრმეს მწუხარებას გიცხადებთ თქვენ. ვანოს სახით პარტიამ დაჰკარგა ერთ-ერთი გამობრძმედილი თავდადებული მებრძოლი პროლეტ

(გაგრძელება იხ. მე-3 გვერდზე)

თესვა ყურადღების ცენტრში

დავრაზმოთ მთელი ძალები სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის

2000 ცალი გუთანი უპატრონოთ

(ტელეფონით სამტრედიიდან)

სამტრედიის სასოფლო სამეურნეო კოოპერაცია, რაიკავშირი და „ზაკსელხოზსნაბის“ განყოფილება საგაზაფხულო სამეურნეო კამპანიის ჩატარებაში აშკარა უთავბოლობას იჩენენ. სამტრედიის „ზაკსელხოზსნაბის“ საწყობში **ყრია 2 ათას ცალზე მეტი გუთანი.**

გუთნების საგრძნობი ნაწილი დაყრილია ცის ქვეშ და იჟანგება.

რაიკავშირი იმით იმართლებს თავს, რომ კოლმეურნეობები და საწარმოო ამხანაგობები არ მოდიან მანქანების წასაღებად; თვით **რაიკავშირს კი არ მიუღია არავითარი ზომა, რომ კოლმეურნეობებს და საწარმოო ამხანაგობებს დროზე წაეღოთ თავიანთი მანქანები.** „ზაკსელხოზსნაბის“ განყოფილებამ ისიც კი არ იცის თუ რამდენი ცალი გუთანი დარჩა მის საწყობში.

საჯავახოში გაგზავნეს 150 ცალი გუთანი, რომლებსაც თან არ მიყვა ჯაჭვები და სხვა ნაწილები, რის გამოც შეუძლებელი შეიქნა მათი გამოყენება.

მუშათა და გლეხთა ინსპექციამ სასწრაფოდ უნდა გამოარკვიოს ეს საქმე და დამნაშავე სასტიკ პასუხისგებაში მისცეს.

„კომუნისტის“-ს ბრიგადა.

ოზურგეთის რაიონი სუსტად ემზადება

(საქ. კორესპონდენტისაგან)

მეორე ბოლშევიკური საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩატარება პირდაპირ დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მომზადებულად შევხვდებით მას. გადაჭრით უნდა ითქვას, რომ თესვისათვის მზადების საქმეში გარდატეხა რაიონში ჯერ კიდევ არ მომხდარა.

სათესლე მასალის მობილიზაცია

11 აპრილს ოზურგეთში მოწვეული იქნა გაფართოებული თათბირი, სადაც გამოირკვა, რომ სათესლე მასალის მომარაგების, შეწამვლა-გაწმენდის და განაწილების საქმე ისევ სუსტად მიმდინარეობს. მემინდვრეობის რაიკავშირი დაუშვებელ გულგრილობას იჩენს ამ მხრივ: **ძიმითის თემში რაიკავშირის მიერ გაგზავნილ იქნა ბოსტნის დამპალი თესლეული, რომელიც დაბრუნებული იქნა უკანვე.**

შეუგროვებელია კარტოფილის, ლობიოს და სოიას თესლი. გამოუყენებელია ადგილობრივი რესურსები. საგაზაფხულო თესვის **გეგმები ჯერ კიდევ არაა დაყვანილი თვითეულ კოლმეურნემდე და ინდივიდუალურ მეურნეობამდე.**

გამწევი ძალა გამოუყენებელია

მანქანა-იარაღები მთელ რიგ თემებში გამოუყენებელია. მუშა-საქონელი ვერაა მომარაგებული საკვებით. **სოფ. მაკვანეთში 180 უღელი ხარი საკვები მასალის უქონლობის გამო გამოუყენებელია. პირველ მოხვნაზე ნაგომარში ორი ტრაქტორით 15 დღის განმავლობაში ნაცვლად 55 ჰექტარისა, მოხნული იქნა მხოლოდ 9 ჰექტარი მიწა. ნატანებში კოლმეურნეობის ტრაქტორი გუთნების უქონლობის გამო გამოუყენებელია; ძიმითში მთელი კვირის განმავლობაში უმოძრაოდ იდგა ტრაქტორი,** რამაც შეაფერხა ჩაის გეგმის შესრულება. ტრაქტორები არაა გადაყვანილი 20 საათიან სამუშაო დღეზე.

კონტრაქტაცია საფრთხეშია

საქ. კპ. (ბ) ცეკას დადგენილების თანახმად მარცვლეულის კონტრაქტაცია უნდა დამთავრდეს 15 აპრილისათვის, მაგრამ ამ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად თითქმის არაფერი კეთდება; **სიმინდისა და სოიას კონტრაქტაცია არც კი დაწყებულა.** მოუგვარებელია საკონტრაქტაციო ავანსების გაცემის საქმე.

ზოგიერთ თემებში კონტრაქტაციის გატარების საქმეში ადგილი აქვს მემარჯვენე ოპორტუნისტულ პრაქტიკას; თუ დაკვრითი წესით არ გავაუმჯობესეთ მუშაობა ამ მხრივ საგაზაფხულო ნათესების კონტრაქტაცია საფრთხის წინაშეა.

მიწადმოწყობა იგვიანებს

ოზურგეთის რაიონში განსაკუთრებით მწვავედ სდგას საკითხი მიწად-მოწყობის შესახებ. მიწად-მოწყობის ჩაუტარებლობა საგრძნობ გავლენას ახდენს მუშაობის სანარდო სისტემის გატარებაზე. სოფ. ძიმითს, მამათს, ლიხაურს, მაკვანეთსა და შემოქმედს შორის მიწის გარშემო ატეხილი დავა ჯერაც არ დამთავრებულა. ყველა ეს ნაკლოვანებანი გამოსწორებულ უნდა იქნას დაკვრითი წესით.

ტ. აცანელი.

თესლი არ არის

(ონი, ჩვენი კორესპონდენტისაგან)

საგაზაფხულო თესვის გეგმა რაიონში დაყვანილია თვითეულ მთესველამდე. გეგმის შესრულებაზე სოფლის საბჭოების მონაწილეობა სუსტია, მათ ამ მხრივ ვერ გაშალეს დამკვრელი მუშაობა.

1 აპრილისათვის კოლმეურნეობებში გაერთიანებულია მოსახლეობის 45 პრ. სათესლე მასალის შეგროვების დარგში გვაქვს ჩამორჩენა. კოლმეურნეობაში შეგროვილია — 73,6 პროც., ხოლო ინდივიდუალურ მეურნეობაში 26,4 პროცენტი. კულტურული ბალახეულობის თესვის საქმე საფრთხეშია, რადგან თესლით მოუმარაგებელია კოლმეურნეობები.

მანქანა-იარაღების გამოყენება არანორმალურია. რაიონს ორი ტრაქტორი აქვს, რომლებიც უძრავად დგანან, მაშინ, როდესაც თესვა უკვე იწყება.

ყველა სოფლის საბჭოებზე მიმაგრებულია პასუხისმგებელი ამხანაგები და სას.-სამ. ინსტიტუტიდან მოვლინებული სტუდენტები.

თესვა უკვე იწყება და კოლმეურნეობები ჯერ კიდევ ვერ არიან მომარაგებული თესლეულით, საჭიროა რაიკავშირმა მიიღოს გადამწყვეტი ზომები, რომ ამან არ შეაფერხოს თესვა.

შიო. თვალჭრელიძე.

რა აფერხებს თესვას

(წერილი გორიდან)

გორის რაიონში გაზაფხულის თესვისათვის მზადების პერიოდი თითქმის დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს.

თესვის გეგმები დაყვანილი იქნა სოფლამდე, კოლმეურნეობამდე და თვითეულ კომლამდე.

რაიონიდან სოფლებში გაიგზავნა მუშათა სარემონტო ოთხი ბრიგადა, რომელთა საშუალებით კოლმეურნეობებში და ინდივიდუალურ სექტორში შეკეთებულ იქნა წვრილი სას.-სამ. იარაღ-მანქანები. გორში არსებულ სას.-სამ. იარაღ-მანქანების შემკეთებელ სახელოსნომ წინასწარ შეაკეთა და წესრიგში მოიყვანა ტრაქტორები და სხვა მანქანები. რაიონს აქვს 8 ტრაქტორი, ამათში—4 დაზიანებულია, რაც აბრკოლებს ხვნის საქმეს.

გორის რაიონში უმთავრესად მისდევენ აგრეთვე მემინდვრეობას და ნაწილობრივად მესაქონლეობასაც.

ბოსტნეულის გასაშენებლად რაიონს ესაჭიროება 4000 კილო თესლეული; ამ რაოდენობიდან მიწსახკომს უნდა გამოეგზავნა 2000 კილო, დანარჩენი—2000 კილო კი უნდა დამზადებულიყო ადგილობრივ. ფაქტიური მდგომარეობა ასეთია: მიწსახკომიდან რაიონმა მიიღო მხოლოდ 235 კილო, ადგილობრივ კი დამზადდა 1400 კილო თესლეული. რაიონი განიცდის აგრეთვე კარტოფილის თესლის დიდ სიმცირეს.

10 აპრილისათვის კოლმეურნეობებში დასაზღვევი 15 პროც. სათესლე ფონდი შეგროვილია მთლიანად, მხოლოდ ინდივიდუალურ სექტორში კი შეგროვილია შესაკრეფი ფონდის მხოლოდ **40 პროცენტი.**

იმავე 10 აპრილისათვის კოლმეურნეობებში გარკვეული იყო დასათესი ქერი და ხორბალი 6.907 ფუთის რაოდენობით, შეწამლული იყო—6787 ფუთი. თესლეულის გარკვევის გეგმა შესრულებულია—63 პროცენტით, შეწამვლის გეგმა კი—60 პროცენტით. ინდივიდუალურ სექტორში გარკვეულია დასათესი თესლეულის—45 პროცენტი, შეწამლულია 40 პროც., რაიონში, თესლეულის როგორც გარკვევა, ისე შეწამვლა კვლავ მიმდინარეობს.

10 აპრილისათვის კოლმეურნეობებში **მოხნული იყო 2821 ჰექტარი მიწა**, ინდივიდუალურ მეურნეობებში—1537 ჰექ. და საბჭოთა მეურნეობებში კი —57 ჰექ. საერთოდ **ხვნის გეგმა რაიონში შესრულებულია მხოლოდ 24 პროცენტით**; მთიან ადგილებში ხვნა ჯერ არ დაწყებულა.

იმავე 10 აპრილისათვის, სხვადასხვა კულტურებით როგორც კოლმეურნეობებში, ისე ინდივიდუალურ სექტორში დათესილია 1501 ჰექ. მიწა.

უნდა აღინიშნოს, რომ **გომის სატრაქტორო სადგური არ ასრულებს პირობას.** მათ, დადებულ ხელშეკრულების თანახმად, უნდა **მოეხნათ გორის რაიონში 1.500 ჰექ. მიწა, სამწუხაროდ დღემდის სადგურის მიერ არც ერთი ჰექტარი მიწის ნაკვეთი არ არის მოხნული.**

გორის რაიონი განიცდის აგრეთვე გამწევი ძალის სიმცირეს. გაზაფხულის თესვის გეგმის მთლიანად და თავის დროზე შესასრულებლად, რაიონს დასჭირდება კიდევ 1500 სული მუშა-საქონელი. მიღებულია ზომები საქონლის გამოსანახავად.

რაიონის პარტიული, კომკავშირული, საბჭოთა და სხვა ორგანიზაციების სწორი ხელმძღვანელობით და უშუალო დახმარებით, კოლმეურნეობების, ღარიბ და საშუალო გლეხების მჭიდროთ დარაზმვით, კულაკების მავნებლური ცდების და მემარჯვენე-„მემარცხენე“ პრაქტიკის ძირშივე აღკვეთით უნდა უზრუნველვყოთ გაზაფხულის თესვის გეგმის ბოლშევიკურად შესრულება.

„კომუნისტი“-ს ბრიგადა.

არხები იწმინდება

(გარე - კახეთი)

გარე-კახეთის რაიონში არხების გაწმენდის საქმე ფართოდ გაიშალა. მარტი გამოცხადებული იყო დამკვრელ თვედ. მოეწყო შაბათობები, რის შედეგად არხების გაწმენდა ძირითადათ დამთავრდა. სარწყავი სისტემის მოწესრიგებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო გარე-კახეთის რაიონის კომ. კავშირმა. კომკ. ინიციატივით გაწმენდილია არხები 1650 მეტრზე.

გარდა ამისა, რაიონის ხელისუფლება ღებულობს ზომებს მოსალოდნელ **წყალდიდობის** წინააღმდეგ. 11 აპრილს საგარეჯოში მოეწყო გლეხების მასიური გასვლა საგარეჯოს მდინარეთა ჯებირების გასამაგრებლად.

გაზ. „კომუნისტი“-ს ბრიგადა.

ბოსტნეულის თესვა საფრთხეშია

(სამტრედია)

გეგმის თანახმად სამტრედიის რაიონში წელს ბოსტანი 1550 ჰექტარზე უნდა გაშენდეს, ხოლო კარტოფილი 250 ჰექტარზე უნდა დაითესოს (აქედან 150 ჰექტარი კოლმეურნეობებში უნდა დაითესოს).

ბოსტნეულის და კარტოფილის თესლს რაიონს დაპირდნენ მიწადმოქმედების კომისარიატი, სას.-სამ. კოოპერაციის ცენტრი და „ზაკპლოდოოვოშჩ“-ი, მაგრამ დაპირება არც ერთმა არ შეასრულა. 12 აპრილისთვის რაიონს **კართოფილის თესლი სრულიად არ მოეპოვება, ბოსტნეულის თესლით** მხოლოდ 510 ჰექტარია უზრუნველყოფილი.

გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ამ **კულტურების სათესლე მასალის დამზადება თვით რაიონსაც თამამად შეეძლო,** მაგრამ მას ამ მიზნით სათანადო ზომები არ მიუღია.

ჯერ კიდევ არ არის დაგვიანებული, თუ სამტრედიის რაიონის სას.-სამ. კოოპერაციის კავშირი მეტ სიფხიზლეს გამოიჩენს, იგი თამამად შესძლებს საჭირო სათესლე მასალის დამზადებას სხვადასხვა რაიონებში და ამ რიგად უზრუნველყოფს გეგმის შესრულებას.

ნ.

რული რევოლიუციისათვის, რომელმაც მთელი თავისი ძალ-ღონე, ენერგია და უნარი მოახმარა სოციალიზმის დიად საქმეს. იმედს გამოვსთქვამ, რომ ამ უდიდესი მწუხარების დროს თქვენთვის მანუგეშებელი იქნება ძვირფასი ამხანაგი ვანოს უდიდესი დამსახურება რევოლიუციის წინაშე.

ნესტორ ლაკობა.

ბათომიდან, ამხ. გიორგი სტურუას. ამხ. ვანოს უდროოდ გარდაცვალების ამბავმა ღრმად დაამწუხრა მთელი ბათომელი ამხანაგები. მისი დაკარგვა საგრძნობი დანაკლისია, როგორც კომუნისტური პარტიისათვის, აგრეთვე პირადათ თქვენთვის, როგორც მისი ძმისათვის და უახლოესი მეგობრისათვის. მიიღეთ ჩვენი ღრმესი მწუხარება ჩვენი მასწავლებლის და საუკეთესო მეგობრის სამუდამოდ დაკარგვის გამო.

ივლიანე სურგულაძე.

ავაგოთ ამხ. ვანო სტურუას სახელობის თვითმფრინავი

სრულიად საკავშირო პოლიტკატორღელთა საზოგადოების საქართველოს განყოფილებას, ნაცვლად გვირგვინისა ძველი ბოლშევიკური გვარდიის წარმომადგენლის—განსვენებულ ამხ. ვანო სტურუას საფლავზე, შემოაქვს სამასი მანეთი ამხ. ვანო სტურუას სახელობის თვითმფრინავის ფონდში.

ა-კ. რკინისგზების დაცვის სამმართველოს და დაცვის რაზმის მე-2 რაიონის მსროლელთა და უფროსშემადგენლობა გვირგვინის ნაცვლად შეაქვთ ორასი მანეთი ამხ. ვანო სტურუას სახელობის თვითმფრინავის ფონდში.

კოოპერაციის და სახვაჭრობის პროფკავშირის ცენტრ. გამგეობას შეაქვს ამხ. ვანო სტურუას სახელობის თვითმფრინავის ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად **250 მანეთი** და იწვევს შემდეგ კავშირებს: საფინანსო-საბანკო მომუშავეთა კავშირს, სახელმწიფო დაწესებულების, განათლების მუშაკთა კავშირს, მედსანშრომისა და ხელოვნებათა კავშირს.

კავშირის გამგეობა

ძველი ბოლშევიკის ამხ. ვანო სტურუას ხსოვნის აღსანიშნავად შრომის საამშენებლო არტელის „მარდი“-ს მუშა - მოსამსახურეებს შეაქვთ ამხ. ვანო სტურუას სახელობის თვითმფრინავის ასაგებ ფონდში 300 მანეთი და იწვევენ საქართველოს ტერიტორიაზე მომუშავე ყველა საამშენებლო არტელებს.

საქ. განათლების სახალხო კომისარიატის თანამშრომლებს შემოაქვთ ამხ. ვანო სტურუას სახელობის თვითმფრინავის ასაგებ ფონდში 234 მ. (ორას ოცდა თოთხმეტი მან.) და იწვევენ შემდეგ დაწესებულებათა თანამშრომლებს: სახკომსაბჭოს, ცაკის, მიწსახკომის, ცეკას, თბ. კომიტეტის, შრომის სახ. კომისარიატის, ა-კ. სახკომსაბჭოს, ცეკავშირის, თბილისის მუშკოოპის, სარეწაო კავშირის, კოლმეურნცენტრის და თბილისის საბჭოს.

საქ. განათლების სახკომისარიატის კ.პ. (ბ) უჯრედი და განათლ. კავშირის ადგილკომი.

10000 მანეთი ამხ. ვანო სტურუას სახელობის თვითმფრინავის ფონდში

ამხ. ვანო სტურუას სახელობის საავიაციო სკოლა

თავდაცვა - ავიაქიმის ამიერ - კავკასიის, საქართველოს და ა-კ. საგზაო ტრანსპორტის საბჭოების პრეზიდიუმების გაერთიანებული სხდომა, რომელმაც მოისმინა ცნობა ძველი ბოლშევიკის, მეგობრისა და ამხანაგის, თავდაცვა - ავიაქიმის ა-კ. ორგანიზაციების უშუალო ხელმძღვანელის გარდაცვალების შესახებ, აღნიშნავს, რომ ამხ. ვანო სტურუა თავისი ბოლშევიკური შეუპოვრობით, ენტუზიაზმით ავსებდა ჩვენს მუშაობას და მისი ბოლშევიკური ხელმძღვანელობა ხელს უწყობდა ჩვენი ორგანიზაციის მუშაობის გაძლიერებას.

თავდაცვა - ავიაქიმის ორგანიზაციები ფიქრობენ, რომ საუკეთესო გვირგვინი ამხ. ვანოსთვის იქნება ჩვენი ენერგიის მაქსიმალური გამოყენება სამხედრო საქმის შესწავლისათვის, რითაც ჩვენ ხელს შევუწყობთ თავდაცვის განმტკიცებას.

თავდაცვა - ავიაქიმი ფიქრობს, რომ საუკეთესო ძეგლი ამხ. ვანო სტურუას ხსოვნის უკვდავსაყოფად იქნება მისი სახელობის თვითმფრინავის აგება. თავდაცვა-ავიაქიმს შეაქვს 10.000 მანეთი და სთხოვს ყველა ორგანიზაციებს — ხელი შეუწყონ ამ საქმეს, რათა ახლო მომავალში ვანო სტურუას სახელობის სამხედრო თვითმფრინავი გადაეცეს კავკასიის წითელდროშოვან არმიას.

გაიხსნას თბილისში თავდაცვა-ავიაქიმის საავიაციო სკოლა ვანო სტურუას სახელობისა და გაიშალოს კამპანია სახსრების შესაგროვებლად სასკოლო ფონდში.

თავდაცვა - ავიაქიმის ამიერ კავკასიის, საქართველოს და ა-კ. საგზაო ტრანსპორტის საბჭოების პრეზიდიუმები.

ა.-კ. მუშგლეხინის თანამშრომლები შეუდგნენ თანხების შეგროვებას

გუშინ, საღამოს, ა-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციაში შესდგა თანამშრომელთა საერთო სამგლოვიარო კრება, რომელიც მოწვეული იყო ამხ. ვანო სტურუას გარდაცვალების გამო. სამგლოვიარო კრებაზე განსვენებულის დახასიათებით გამოვიდა ამხ. ვაცეკი.

— ეს იყო, — განაცხადა ამხ. ვაცეკმა, — იშვიათი ამხანაგი, კრისტალური სიწმინდის პიროვნება და მუშათა კლასის ინტერესებისათვის თავდადებული მებრძოლი, რომელმაც არ იცოდა დაღლა, რომლისათვისაც არ არსებობდა სიძნელე და შიში, რომ თავისი საქმე გამარჯვებით დაებოლოვებია. ერთი უძველესი ბოლშევიკთაგანი — ამხ. ვანო სტურუა, 25 წლის განმავლობაში არალეგალურად აკეთებდა რევოლიუციის საქმეს და იბრძოდა მუშათა კლასის განსათავისუფლებლად.

შემდეგ ამხ. ვაცეკმა გაიხსენა სხვადასხვა ეპიზოდები ამხ. ვანო სტურუას რევოლიუციონური მუშაობის პერიოდიდან და აღნიშნა ის დიდი დანაკლისი, რომელსაც განიცდის კომუნისტური პარტია ამ ძველი ბოლშევიკის დაკარგვით.

თანამშრომელთა საერთო კრებამ ერთხმად მიიღო დადგენილება, რომ ამხ. ვანო სტურუას კუბოზე გვირგვინების მიტანის მაგიერ, დაიწყოს თანხების შეგროვება მისივე სახელობის აეროპლანის ასაგებათ. თანამშრომელთა საერთო კრებამ მოუწოდა ყველა წარმოება - დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეებს, რომ მიბაძონ ამ მაგალითს და გვირგვინების მაგიერ ამხ. ვანოს ხსოვნა უკვდავყონ ქვეყნის თავდაცვისათვის საჭირო მუშაობის გაძლიერებით, და შეიტანონ თანხები ამხ. ვანო სტურუას სახელობის აეროპლანის ასაგებ ფონდში.

კრებამ გადასწყვიტა, გააძლიეროს ხელმძღვანელობა ამხ. ვანო სტურუას მიერ ჩამოყალიბებულ პიონერ - კოლექტივზე და აღმოუჩინოს მას შესაფერი ორგანიზაციული და ნივთიერი დახმარება.

ამხ. ვანო სტურუას ხსოვნის უკვდავსაყოფად

საქართველოს ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების ბიუროს დადგენილება

1) ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების ერთ-ერთ სახლს ეწოდოს ამხ. ვანო სტურუას სახელი.

2) პედაგოგიურ ინსტიტუტში დაარსდეს ამხ. ვანო სტურუას სახელობის სტიპენდია.

3) ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების ბიურომ აიღოს შეფობა ერთ-ერთ კოლმეურნეობაზე სამტრედიის რაიონში.

4) ამხ. ვანო სტურუას მუშაობის და მოღვაწეობის აღსანიშნავად გამოიცეს კრებული რომელშიაც სხვათა შორის მოთავსებულ იქნება მისი წერილები და მოგონებანი.

საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტი აუწყებს ამიერ-კავკასიის პარტიულ ორგანიზაციებს, რომ გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკური გვარდიის ვეტერანი, პროლეტარული რევოლიუციის საქმისათვის გატაცებული და თავგანწირული საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო საკონტროლო კომისიის პარტკოლეგიის თავმჯდომარე

ამხ. ვანო სტურუა

საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო საკონტროლო კომისია იუწყება, რომ გარდაიცვალა ძველი რევოლიუციონერი—ბოლშევიკი, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და ა.-კ. საოლქო საკონტროლო კომისიის წევრი, საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო საკონტროლო კომისიის პარტკოლეგიის თავმჯდომარე

ამხ. ვანო სტურუა

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი აუწყებს პარტიულ ორგანიზაციებს ძველი ბოლშევიკური გვარდიის გამობრძმედილი მებრძოლის

ამხ. ვანო სტურუას

გარდაცვალებას.

საქ. კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისია იუწყება ძველი ბოლშევიკის ლენინელის

ამხ. ვანო სტურუას

გარდაცვალებას.

ამიერ-კავკასიის ცაკი და სახკომსაბჭო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ძველი რევოლიუციონერი-ბოლშევიკი, ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმის წევრი

ამხ. ვანო სტურუა

საქართველოს ცაკი და სახკომსაბჭო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკური გვარდიის ვეტერანი, საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის წევრი

ამხ. ვანო სტურუა

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტი აუწყებს ორგანიზაციის წევრებს ძველი ბოლშევიკის

ამხ. ვანო სტურუას

გარდაცვალებას.

საქართველოს ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების ბიურო იუწყება, რომ გარდაიცვალა საზოგადოების ბიუროს წევრი, ძველი ბოლშევიკი

ამხ. ვანო სტურუა

2—1

თავზარდაცემულნი: ცოლი—მეგობარი ლირსა, შვილები: ლენა, კოლია, ჟენია და რობერტი აუწყებენ ყველა ამხანაგებს, ნაცნობებს და ახლობელთ საყვარელი მეგობრისა და ამხანაგის და ძვირფასი მამის

ვანო სტურუას

გარდაცვალებას. გამოსვენება 16 აპრილს მუშათა სასახლიდან.

2—1

გიორგი სტურუა ცოლით და შვილებით აუწყებს ყველა ამხანაგებს ძვირფასი ამხანაგის, ახლო მეგობრის და ძვირფასი ძმის — შეუდრეკელი ბოლშევიკის ლენინელის

ვანო სტურუას

გარდაცვალებას. გამოსვენება მუშათა სასახლიდან 16 აპრილს.

2—1

მატარებლის დამტვრევა

14 აპრილს ღამის 1 საათზე და 30 წუთზე სადგურ ყარაიაზიდან მომავალი საბარგო მატარებელი № 810 მთავარ ხაზიდან ქარის მიერ გატაცებულ ვაგონს დაეჯახა. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა. ხაზს აცდა ორთქლმავალი და რამოდენიმე საბარგო ვაგონი. მოძრაობა შეწყვეტილი იყო 14 საათი და 30 წუთი. დაპატიმრებულია სადგურის მორიგე დეკანოსიძე და სადგურის უფროსი.

როდის მოეღება ბოლო უმზგავსოებას

(ა.-კ. ქიმიურ-ტეხნოლოგიური ინსტიტუტი)

თბილისში არსებობს ამიერ-კავკასიის ქიმიურ-ტეხნოლოგიური ინსტიტუტი. დიდია ამ ინსტიტუტის მნიშვნელობა ამიერ-კავკასიის ქიმიურ მრეწველობის განვითარებისათვის. ეს მდგომარეობა გვავალებს განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ინსტიტუტის მუშაობას. სინამდვილეში ეს ასე არაა.

ა.-კ. ქიმიურ-ტეხნოლოგიურ ინსტიტუტს თბილისის უმაღლეს სასწავლებელში ვერავინ შეეჯიბრება შინაური უწესრიგობით, პროფესიონალური და პარტიული მუშაობის მოუგვარებლობით. ადმინისტრაციის სისუსტეს რომ თავი დავანებოთ, შეუძლებელია გვერდი აუხვიოთ ადგილობრივ პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციაში გამეფებულ სრულ უთავბოლობას, რომელიც იფარება თვითკრიტიკის ულმობელათ ჩახშობით და სტუდენტობის საზოგადოებრიობის ჩაკვლით.

დავიწყოთ პროფკომიდან, პროფესიონალური მუშაობის გაშლაზე ნუ იკითხავთ, პროფკომის ხელმძღვანელებს ამისათვის არ სცალიათ. თავიდანვე რაღაც განუკურნავი სენი დაჰყვა ქიმიურ ინსტიტუტის პროფორგანოს. პროფკომის პირველ თავმჯდომარემ ლომთაძემ გაფლანგა პროლეტარული სტუდენტების კაპეიკებით შეგროვილი ფული და თავისი კარიერა ამით დაამთავრა. მის მოადგილეთ, უჯრედის მდივნის და მისი ძმაბიჭების მოხერხებით გაყვანილ იქნა სულაბერიძე, რომელიც ამურის საქმეებით უფრო გართულია, ვიდრე პროფესიონალური მუშაობით. ამ ნიადაგზე სამწუხარო ინციდენტსაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ ამის შესახებ მხოლოთ კარებს უკან ჩურჩულებენ, ხმამაღლა ლაპარაკს ვერავინ ბედავს.

უჯრედის მდივანი ამხ. მახარაძე კომისრული მეთოდებით ფიქრობს შესცვალოს უვიცობა, რომელსაც იჩენს ის ყოველ ფეხის ნაბიჯზე პარტიულ მუშაობაში. ელეკვება ადმინისტრატიულ პირებს იმისათვის, რომ პირველყოვლისა საკუთარი საქმეები გაიჩარხოს. საქმე იქამდინაც კი მივიდა, რომ მახარაძე სტუდენტებში ტრაბახობდა, ერთ კაცს პარტიაში შესვლაზე დავეხმარე და მაღარიჩით ხუთთუმნიანი ვახშამი გიახელითო. უჯრედის მდივანიც ასეთი მითხარით.

გასაკვირი არაა, რომ მახარაძეს თვითკრიტიკაც თავისებურათ ესმის: „შენ ვისმე ინსტიტუტში აკრიტიკებ—მაშასადამე, ინტრიგანი ხარ!—აი, მახარაძის მორალი.

გასაგებია, რომ ასეთ ნიადაგზე, პროტექცია ინსტიტუტში ჰყვავის არაჩვეულებრივად. უჯრედის მდივანი, რომელიც სარგებლობს ადმინისტრაციის სისუსტით, პროტექციონიზმის თაოსანია. აი რამდენიმე ფაქტი. წელს უმაღლეს სასწავლებლებს გარეთ დარჩა მრავალი მუშა და ღარიბი გლეხი ახალგაზრდა და ამავე დროს ა.-კ. ქიმიურ-ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში თავშეყრილია სტუდენტების ასეთი თაიგული: **1. მიშნიაშვილი**, ვაჭრის შვილი. ანკეტაში და სხვა დოკუმენტებში ეს ფაქტი, რასაკვირველია, დაფარულია. 2. **ნურიბეკოვი—აზერბეიჯანელი** ბეგის ქალიშვილი, რომელმაც ინსტიტუტში შემოსვლის მიზნით შეიცვალა გვარი, ნურიბეკოვის მშობლები მოკლებულნი არიან ხმის უფლებას. **3. თინა წერეთელი** გადაგვარებულ თავად-აზნაურობის უბადრუკი ნაშთი, რომელიც შემოძვრა ინსტიტუტში რაღაცა საეჭვო ხვრელებით. კვიცი გვარზე **ხტის.** წერეთელი ძველი აზნაურული ჩვეულებით კუდს ყავარზე სდებს, მუშა-კომკავშირელ გუბელაძეს ზიზღით გაესძახა, შენისთანები მოახლეებათ მყავდაო. აქ ზედმეტათ მიგვაჩნია წერეთლის სხვა საქციელზე ლაპარაკი. საგულისხმოა ერთი რამ, როცა მსუბუქმა კავალერიამ გამოამჟღავნა, რომ წერეთელი მიღებულია აშკარა პროტექციით, მახარაძემ მსუბუქი კავალერიის ხელმძღვანელს ტუჩზე ხელი დაადო: „ჩუმათ იყავ, არავინ არაფერი გაიგოსო“.

ამ რამოდენიმე დღის წინათ ინსტიტუტში მიიღეს მუშის შვილი მაჭავარიანი, მაგრამ ისევ გამორიცხეს იმ მიზეზით, რომ შუა წელში მიღება აკრძალულიაო, ამის შემდეგ პროტექციით მიღებულ იქნა სტუდენტი **რუთინოვი.** ეს ამბავი გაიგო მაჭავარიანმა, ინსტიტუტის ხელმძღვანელები დაფრთხნენ, არ გაგვამჟღავნოსო და **მაჭავარიანი უკანვე იქნა მიღებული.**

ა.-კ. ქიმიურ ინსტიტუტში მდგომარეობა საფუძვლიანათ უნდა გამოსწორდეს. ამ მიზნით პირველ ყოვლისა და უმთავრესად უნდა გადახალისდეს პარტუჯრედის ხელმძღვანელობა. მახარაძე, როგორც სრულიად უავტორიტეტო, **საქმის არ მცოდნე** და პირადი ანგარიშების კაცი, უნდა მოიხსნას უჯრედის ბიუროს წევრობიდან. ამასთანავე უნდა გადახალისდეს პროფკომის შემადგენლობაც, დაყოვნება მეტად გაართულებს ინსტიტუტის ისედაც აწეწილ საქმეებს. სიტყვა პარტიის თბილისის კომიტეტს ეკუთვნის.

ო. პ.

მუშკოოპის სავაჭრო წერტების წმენდის შედეგები

ლენრაიონი

ლენრაიონში შემავალ მუშკოოპის სავაჭრო წერტების გამწმენდ კომისიამ დაამთავრა მუშაობა და წმენდის შედეგები 14 აპრილს საღამოს კოჩეტკოვის სახელობის კლუბში გამოაცხადა თანამშრომელთა საერთო კრებაზე.

გამწმენდ კომისიის დადგენილებით **პირველი კატეგორიით** მოხსნილი არიან:

რუბენ დავითის-ძე ბეჟანოვი (600 მაღაზიის საგასტრონომო სექციის გამგის მოადგილე) როგორც უხეში, კომისიის წინაშე შეეცადა დაეფარა თავისი წარსული. საარჩევნო უფლება წართმეული აქვს.

მიხეილ დავითის-ძე ხუნწარია. (№ 587 მაღაზიაში მზა-ტანსაცმელის სექციის გამგე), როგორც ყოფილი ვაჭარი, არა საბჭოთა ელემენტი; შეეცადა დაეფარა თავისი წარსული, მომხმარებლებს უხეშად ექცევა, გაურბის საზოგადოებრივ საქმიანობას.

აკაკი ლეონტის-ძე ლეონიძე (№ 603 მაღაზიის საბაკალეო სექციის გამგე), კავშირი აქვს სპეკულიანტებთან, შეეცადა დაემალა მაღაზიაში არსებული დეფექტები, დაფარა თავისი წარსული (გაფლანგვა, რისთვისაც მიცემული იყო პასუხისგებაში).

მეორე კატეგორიით მოხსნილი არიან: **ვერა ვასილის ასული ჯღარკავა:** (№ 420 მაღაზიის მოლარე) მომხმარებლებს ეპყრობა უხეშად, რის გამოც გამოცხადებული აქვს საყვედური.

ოლღა მელიტონის-ასული თოფურია (№ 450 მაღაზიის გამყიდველი) მომხმარებლებს ეპყრობა უხეშად, სისტემატიურად იგვიანებს სამსახურში, ჰქონდა ფულის დანაკლისი, გამწმენდ კომისიას დაუმალა, რომ შავსიელთა ოჯახიდანაა.

დიმიტრი ივანეს-ძე ქებაძე, როგორც ყოფილი ვაჭარი, საქონელი გადამალა, გაურბის საზოგადოებრივ საქმიანობას.

რაფიელ მეგრელიშვილი როგორც ანტისაბჭოთა ელემენტი და შეუფერებელი თავისი თანამდებობისათვის.

ნიკოლოზ ალექსის-ძე ლოლუა (№ 625 მაღაზიის საგასტრონომიო სექციის გამგე), როგორც ყოფილი მსხვილი ვაჭარი.

გიორგი ესტატეს-ძე გოდერძიშვილი (№ 499 მაღაზიის გამგე), სამსახურისადმი იჩენს გულგრილობას, მომხმარებლებს ეპყრობა უხეშად, გაურბის საზოგადოებრივ საქმიანობას და სხვ..

იოსებ იოსების-ძე სუკაჩოვი (№ 495 მაღაზიის გამგის მოადგილე) შეეცადა დაემალა თავისი წარსული. გაურბის საზოგადოებრივ საქმიანობას.

პროკოფი დიმიტრის-ძე ინწკირველი (№ 625 მაღაზიის გამგის მოადგილე), დეფიციტიურ საქონელს აძლევს ნაცნობებს, კავშირი აქვს კერძო ვაჭრებთან, შეეცადა დაეფარა თავისი წარსული.

ერვანდ გიორგის-ძე შერეშოვი, წმენდის დროს შეეცადა დაეფარა თავისი წარსული: ყოფ. ვაჭრის შვილია, თვითონაც ყოფ. ვაჭარია, სამსახურისადმი იჩენს გულგრილობას, გაურბის საზოგადოებრივ საქმიანობას.

გიორგი ნიკოლოზის-ძე ხელიპანოვი (№ 604 მაღაზიაში ხილ-ბოსტნეულის სექციის გამგე). წმენდაზე გამოცხადდა მთვრალი, მომხმარებლებს ეპყრობა უხეშად, ყოფილი ვაჭარია.

გიორგი პოლოსის-ძე გალუსტოვი (№ 604 მაღაზიაში თევზის გამყიდველი); თევზს აძლევს ნაცნობებს უწიგნაკოთ, არ არის დაინტერესებული კოოპერატიული საქმიანობით. შრომის სიაში არ შეიტანა სწორი ცნობები და სხვ.

კონსტანტინე გიორგის-ძე ლვამიჩავა, საქონელს ყიდის ზედმეტ ფასებში, ეწევა თვითმომარაგებას. მას აეკრძალა კოოპერატიულ აპარატში მუშაობა.

ნადეჟდა ვახტანგაძე. არის ინტრიგანი, მაღაზიაში ხშირად სტეხს აურ-ზაურს; მას აეკრძალა ერთი-წლის ვადით საბჭოთა აპარატში მუშაობა.

გიორგი იოსების ძე შუბლაძე (№ 15 მაღაზიის საგასტრონომიო სექციის გამგე), სისტემატიურად ლოთობს, აქვს 360 მან. დანაკლისი, საზოგადოებრივ საქმიანობას გაურბის, მას აეკრძალა კოოპერატიულ აპარატში მუშაობა.

რუსუდან სპირიდონის ასული მინდიაშვილი, ინტრიგანი, თანამშრომლებს აყენებს ფიზიკურ შეურაცხყოფას.

ალექსი ივანეს-ძე კოჭლაშვილი, ეწევა თვითმომარაგებას, კომისიის წინაშე შეეცადა თავის წარსულის დაფარვას (არის ყოფ. ვაჭარი), მას აეკრძალა კოოპერატიულ ორგანიზაციებში მუშაობა.

ოქროპირ გერასიმეს-ძე კილასონია კომისიის წინაშე გამოიჩინა არა გულწრფელობა, დეფიციტურ საქონელს ანაწილებს უკანონოდ.

აბესალომ ერასტის-ძე ფაილოძე, შინაგან განაწესს არ ემორჩილება; მას აეკრძალა ერთი წლით მუშაობა.

ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ნინოევი, საქონელს აძლევს ნისიად, რისთვისაც მოხსნილი იყო სამსახურიდან. მას აეკრძალა ერთი წლით მუშაობა.

გრიგოლ ივანეს-ძე ელიავა (იგივე ეჟაკოვი), კომისიის წინაშე დამალა საკუთარი გვარი, რომ ამ გზით აეცილებია მასზე შემოსული ბრალდებები, დაემუქრა მუშათა ბრიგადების წევრებს. მას აეკრძალა 2 წლით მუშაობა.

იაკობ ეგნატეს-ძე ცომაია, სამსახურისადმი იჩენს დაუდევრობას და გულგრილობას აქვს 240 მან. დანაკლისი.

მესამე კატეგორიით მოხსნილია:

მარიამ არტემის ასული მიქოიანი, რომელიც შეეცადა მაღაზიაში არსებული დეფექტების დაფარვას, მუშათა ბრიგადას მოეპყრო უხეშად. მასვე აეკრძალა ერთი წლით მუშაობა.

